# საქართველოს რესპუბლიკა


დაარსებულია 1918 წელს.


შაბათი, 8 დეკემბერი, 2012 წელი.

№236 (7112)



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.

## როგორ აღვკვეთოთ კრიმინალური რეჟიმის რეანიმაცია?

დასავლეთი ნებისმიერი ქვეყნისთვის დამანგრეველი დაუსჯელობის სინდრომის შენარჩუნებას ხელს უწყობს და აიძულებს, უარი თქვას კანონის უზენაესობის პრინციპზე.



5

## ნუ ვიჩქარებთ დასკვნების გამოტანას საქართველოს შესახებ

3

## როინ შავაძის საქმე პროკურატურამ თაროდან ჩამოიღო

4

## მელიების მეჯლისი

2



## ხაჭაპურიძე პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ აკრძალვას ითხოვს

4

## საქართველოში „ხალხის მტრებს“ გაათავისუფლებენ

8

## ქართული ბანკების მტაცებლური საქმიანობა

11



## უცნობი სვეტლანა ალილუევა

6-7

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ალიან-ჩალიანი

## ბიძინა ივანიშვილი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენლებს შეხვდა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენლებს შეხვდა.**

**როგორც პრემიერის პრესსამსახურიდან იტყობინებიან, კანცელარიაში გამართულ შეხვედრაზე ბიძინა ივანიშვილმა ევროსაბჭოს წარმომადგენლებს მადლობა გადაუხადა საპარლამენტო არჩევნებში ქართველი ხალხის მხარდაჭერისა და იმ განსაკუთრებული როლისთვის, რომელსაც ევროსაბჭო რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირების კუთხით იჩენს.**

**შეხვედრაზე მხარეებმა საქართველო-რუსეთის ურთიერთობების საკითხსა და თვითმმართველობების განვითარების აუცილებლობაზე ისაუბრეს.**

**საუბარი საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებსაც შეეხო. ევროსაბჭოს წარმომადგენლებმა იმედი გამოთქვეს, რომ ახალი ხელისუფლება ქვეყნის წინაშე მდგარ გამოწვევებს ღირსეულად გაუმკლავდება.**

## რელიგიური ნიშნით დაპირისპირების გახშირება აშკარად პროვოკაციის ნიშნებს ატარებს

**ამის შესახებ ნათქვამია საქართველოს პრემიერ-მინისტრის საგანგებო განცხადებაში, რომელიც მთავრობის ვებგვერდზე განთავსდა.**

**როგორც ბიძინა ივანიშვილი აღნიშნავს, შემაშფოთებელია ის ვითარება, რომელიც ამ ბოლო დროს შეიმჩნევა საქართველოს ზოგიერთ რაიონში მართლმადიდებელი და მუსულმანი მოქალაქეების დაპირისპირების სახით.**

**— ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ ასეთი დაპირისპირება სრულიად უცხოა ჩვენი ხალხისთვის. ეს არ არის ქართული მოვლენა. საუკუნეების განმავლობაში მართლმადიდებელ ქრისტიანებთან სრულიად მშვიდობიანად თანაცხოვრობდნენ სხვა რელიგიის წარმომადგენლები და ისტორიას არ ახსოვს რელიგიური ნიშნით დაპირისპირების თუნდაც ერთი შემთხვევა.**

**სწორედ ამიტომ, მიმაჩნია, რომ ამ ბოლო დროს რელიგიური ნიშნით დაპირისპირების გახშირება აშკარად პროვოკაციის ნიშნებს ატარებს და საქართველოს სახელმწიფოს დისკრედიტაციას ისახავს მიზნად.**

**რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლება ამ ქვეყნის ყველა მოქალაქის კონსტიტუციური უფლებაა და ჩვენი ხელისუფლება ვინმესთვის ამ უფლების შეზღუდვას არ დაუშვებს. სამართალდამცავი ორგანოები გამოიძიებენ თითოეულ კანონდარღვევას და უმკაცრესად დაისჯება ყველა, ვინც კანონსაწინააღმდეგოდ მონაწილეობს ამ სამარცხვინო დაპირისპირებაში.**

**მინდა, მოვუწოდო ჩვენს, როგორც მართლმადიდებელ, ისე მუსლიმან მოქალაქეებს, თავი შეიკავონ და პატივი სცენ ჩვენი ქვეყნის ტრადიციას, რომლისთვისაც სრულიად უცხოა ასეთი დაპირისპირება, ნუ აჰყვებიან პროვოკაციებს და ნუ გახდებიან ულირსი ქმედების მონაწილეები. როგორც ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, ვიღებ პასუხისმგებლობას და გპირდებით, რომ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს, რომელ კონფესიასაც არ უნდა მიეკუთვნებოდნენ ისინი, მშვიდობიანი თანაცხოვრების გარანტია ექნებათ, — აცხადებს ბიძინა ივანიშვილი.**

## პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ იცრუა

**ბრიუსელში ნატოს მინისტერიალზე საქართველოსთვის მაპ-ის მინიჭების საკითხი არ განიხილებოდა, — ამის შესახებ ჟურნალისტებს მთავრობის სხდომის შემდეგ სახელმწიფო მინისტრმა ევროპასა და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში ალექსი პეტრიაშვილმა განუცხადა.**

**მისი თქმით, ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიება, რომელზეც საქართველოში მიღწეული პროგრესი დაფიქსირდა. მინისტრის განმარტებით, დადებითად შეფასდა საპარლამენტო არჩევნები და ნატო-საქართველოს კომისიის სხდომაზე აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა პირდაპირ განაცხადა, რომ იმსჯელეს საქართველოს ნატოში ინტეგრაციასთან დაკავშირებულ კონკრეტულ გეგმებზე.**

**— ანდერს ფოგ რასმუსენმაც დააფიქსირა ნდობა საქართველოს მთავრობისადმი, რომ ჩვენ ყველა ქმედებას კონსტიტუციის დაცვით განვახორციელებთ. საუბარი შეეხო ავღანეთის ოპერაციაში მონაწილეობას და ასევე დაისახა კონკრეტული ამოცანები შემდგომი პროგრესის დაფიქსირებისა და რეალური ინტეგრაციისთვის. MAP-ზე არჩევნების შემდეგ არც ერთხელ საუბარი არ ყოფილა. ამ თემაზე ადრეც მცდარი მოლოდინები იქმნებოდა, ამ შემთხვევაში კი პრეზიდენტი ვიღაცამ შეცდომაში შეიყვანა, ან ეს არასწორი განცხადებაა, — აღნიშნა ალექსი პეტრიაშვილმა.**

**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ვარშავაში ვიზიტისას განაცხადა, რომ ნატოს მინისტერიალზე საქართველოს ინსტიტუციური პროგრესი არ დაფიქსირებულა.**

**მისივე თქმით, ბრიუსელში მაპ-ის მიღების დიდი შანსი იყო, — ამის შესახებ პოლონეთში მყოფმა საქართველოს პრეზიდენტმა, ქვეყნის პირველ პირთან, ბრონისლავ კომოროვსკისთან შეხვედრის შემდეგ ქართველ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა.**

წერილი რედაქციას

# მელიების მეჯლისი

**არსებობს საქართველოში ერთი ისეთი უმაღლესი სასწავლებელი, სადაც თეატრისა და კინოს ხელოვნების საიდუმლოებათა ნაცვლად საზრიანობას და კანონის ვირეშმაკურად ჭრა-კერვას ასწავლიან.**

მოგეხსენებათ, კანონი მძიმე რამაა და რაოდენ მძიმეც არ უნდა იყოს, მაინც კანონია და მას ვერსად წაუხვალ. ასეა მთელ მსოფლიოში, ახლა უკვე იმედია, რომ საქართველოშიც, მაგრამ საქართველო იმიტომ არის მოწინავე ქვეყანა, რომ აქ განსაკუთრებულად საზრიანი ადამიანები ცხოვრობენ, ხოლო ყველაზე საზრიანი ადამიანები სად არიან მოკალათებულნი? რა წამოგცდათ? სა-ად? საზრიანთა და მოხერხებულთა კლუბში? ვერ გამოიცანი, ძვირფასო მკითხველო. ისინი მოკალათებულნი არიან საქართველოს თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში! რაო, არ მჯერაო? ახლავე დაგარწმუნებთ. აგერ ერთი სანიმუშო მაგალითი. საქართველოს განათლების კანონში წერია: **„პროფესორად შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება“.**

ახლა ვნახოთ ეს კანონი როგორ გადააკეთა საქართველოს თეატრისა და კინოს უნივერსიტეტმა: **„სრული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად აუცილებელია: დოქტორის აკადემიური ხარისხი, დისციპლინის სწავლების კონცეფციის წარმოდგენა საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო დონეებზე. სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის ბოლო, არანაკლებ 6 წლის უწყვეტი სტაჟი“.** როგორია? ამას ხომ უნდოდა მოფიქრება?



თუკი თქვენ მთელი ცხოვრება ეწეოდით სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას და გაქვთ ნახევარსაუკუნოვანი გამოცდილება, თუკი თქვენ ხართ სტუდენტების მიერ აღიარებული ლექტორი, თუკი თქვენი სამეცნიერო ნაშრომები სამაგიდო წიგნებადაა გადაქცეული, ეს საკმარისი ვერ იქნება, თუკი არ გაქვთ სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის... ბოლო, 6 წლის უწყვეტი სტაჟი! როგორია?

ხოლო ვის აქვს ბოლო 6 წლის უწყვეტი სტაჟი? იმათ, ვისაც ეს აკადემიური თანამდებობა უკვე უკავიათ, მა-აშ!

კანონში ეს მახვილგონივრული ცვლილება ერთხმად იქნა მიღებული აღნიშნული უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ და ასევე ერთხმად დადასტურებული ამავე ინსტიტუტის წარმომადგენლობით საბჭოში. რატომ? იმიტომ, რომ ორივე საბჭოს წევრებს უკვე უკავიათ აკადემიური თანამდებობები აღნიშნული სტაჟის ფარგლებში. ახლა იმასაც იკითხავთ, რისთვის დასჭირდა ჯერ უკანონოდ დანიშნულ, მერე უკანონოდ მოხსნილ, ხოლო შემდგომ უკანონოდ აღდგენილ რექტორს განათლების ძირითად კანონში ასეთი თეთრი ძაფით ნაკერი ცვლილების შეტანა?! ის ხომ ისედაც ყოველთვის მოხერხებულად აყალბებდა არჩევნებს?! ნეტა რამ ან ვინ აიძულა ასეთი იდიოადაპტაციური ტრანსფორმაციის გატარება?!

მოდით და ჩვენ თავადვე ვუპასუხოთ ჩვენსავე რიტორიკულ შეკითხვას: რამ აიძულა და სურვილმა, რომ მას თავადაც არ ჰყავდეს კონკურენტი აკადემიური თანამდებობის დაკავების ასპარეზზე. შედეგად რას მივიღებთ? იმას, რაც მოჰყვება ხოლმე არაკონკურენტულ გარემოს? ანუ მივიღებთ სტაგნაციას, უძრაობას, ჭაობს? ანუ იმას, რის წინააღმდეგაც განხორციელდა რეფორმა განათლების სფეროში? ეს ყოველივე უკვე კარგა ხანია მეფობს აღნიშნულ უნივერსიტეტში ჯერ უკანონოდ დანიშნული, მერე უკანონოდ მოხსნილი, ხოლო მერე უკანონოდ აღდგენილი რექტორის შემწეობით, რით ვეღარ შევეჩვიეთ?

მაგრამ მიზეზის თავი და თავი უფრო სხვაგანაა ჩამარხული. თუკი სულ ცოტა ხნის წინათ სასამართლო არად დაგიდევდათ არც კანონს და არც სამართალს, ახლა დროება შეიცვალა და ვინ უწყის, არჩევნების გაყალბებას რა მოჰყვება. ამიტომ ჯობია, ისევ კანონი გადავასხვაფეროთ.

თუკი ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ბოლო ექვსი წლის განმავლობაში უწყვეტად არ იყო ჩართული ლექციების ფერხულში, თუკი მას თუნდ ერთი დღე დააკლდება ექვსი წლის სტაჟში, მორჩა, გათავდა, კონკურსში მონაწილეობას ვერ მიიღებს. ასე დავადგინე მე, რექტორმა, ასე დამეთანხმა აკადემიური საბჭო და კვერი ასე დამიკრა წარმომადგენლობითმაც. აბა რა გეგონათ? ასე ვიცით ჩვენ!

ახლაც არ დაიჯერებ, მკითხველო, რომ საზრიანთა და მოხერხებულთა კლუბი საქართველოს თეატრისა და კინოს უნივერსიტეტია? რაო? რა თქვი? ეს საზრიანობა კი არა, აფერისტობააო? მერე შენ გგონია, მკითხველო, რომ აფერისტობას საზრიანობა არ სჭირდება? რაო, გამოცნობილი ილუზიური ნომერი ილუზიას ვერ შექმნისო? როგორ ვერ შექმნის, როცა აღნიშნული ცვლილება უნივერსიტეტის წესდებაშიც შეიტანეს და სრულიად უსირცხვილოდ ამავე უნივერსიტეტის ვებგვერდზეც განათავსეს. ესაოდა, ახლა გვიყარეთ კაკალიო!

კაკლისა რა მოგახსენოთ, მაგრამ თუკი ესეც შერჩებათ, აფერუმ! მათი ყოფილა ეს ქვეყანაც და ეს კანონებიც. ჩვენ კი, მკითხველო, ისღა დაგვრჩენია, მათი საზრიანობით და უსირცხვილობით დავტკბეთ!



**მერაბ გეგია,**
**ხელოვნებათმცოდნეობის ნამდვილი დოქტორი, ყოფილი სრული პროფესორი, მარჯანიშვილის პრემიის სამუდამო ლაურეატი, ბოლო, 6 წლის უწყვეტი პედაგოგიური სტაჟის არმქონე... ეჰ...**

სამართალი

## დაკავებული არიან ხულიგნობისა და დევნის ფაქტზე

**სამართალდამცველებმა „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები: ერედვის მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახურის უფროსი სპეციალისტი ჯანგირ მჭედლიშვილი, საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილების უფროსი გოგიტა გოჩაშვილი და სოციალური სამსახურის განყოფილების უფროსი ლევან მაისურაძე დააკავეს. ამის შესახებ მთავარი პროკურატურის განცხადებაშია აღნიშნული.**

პროკურატურის განცხადებით, აღნიშნული პირები ადამიანის დევნისა და ხულიგნობის ფაქტზე დააკავეს, ხოლო ერედვის მუნიციპალიტეტის უფროს სპეციალისტზე ბესიკ კახნიაშვილზე ძებნა გამოცხადდება.

— გამოძიებით დადგინდა, რომ 2012 წლის 16 სექტემბერს, გორის რაიონის სოფელ დიცში, ეგრეთ წოდებულ „ბირჟაზე“ იდგნენ ამ სოფლის მკვიდრნი: ზ. ნ. ზ. მ. და ს. მ. დაახლოებით 18 საათისათვის ე.წ. ბირჟასთან გაჩერდა ავტომანქანა „ვაზ 21099“. მანქანაში ისხდნენ ნასვამ მდგომარეობაში მყოფი „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები, ერედვის მუნიციპალიტეტის უფროსი სპეციალისტი ბესიკ კახნიაშვილი, ამავე მუნიციპალიტეტის სოციალური სამსახურის უფროსი სპეციალისტი ჯანგირ მჭედლიშვილი, საფინანსო-საბიუჯეტო განყოფილების უფროსი გოგიტა გოჩაშვილი და სოციალური სამსახურის განყოფილების უფროსი ლევან მაისურაძე. ისინი გადმოვიდნენ ავტომანქანიდან და ზ. ნ-ს მოსთხოვეს გაეხადა და ფეხით შემდგარიყო კოალიცია „ქართული ოცნების“ ლოგოიან მაისურზე. უარის მიღების შემდგომ მათ სიტყვიერი შეურაცხოფა მიაყენეს ზ.ნ-ს და ცდილობდნენ ფიზიკურად გასწორებოდნენ მას. ამ უკანასკნელმა მოახერხა თავის დაღწევა და მიიმალა იქვე არსებული მაღაზიის უკან. კახნიაშვილი, მჭედლიშვილი, გოჩაშვილი და მაისურაძე ცინიკური ტონითა და ყვირილით მიმართავდნენ სოფლის მოსახლეობას, აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას, რადგან მათ სამი დღით ადრე მონაწილეობა ჰქონდათ მიღებული კოალიციის აქციაში. ამ პირებმა შეამჩნიეს „ქართული ოცნების“ მაისურში ჩაცმული, სტიქაროსანი ე. ა. მის დანახვაზე, დაიძახეს „აი, კიდევ ერთი არაკაცი“, აგინეს დედა, სცემეს და მიაყენეს სხეულის დაზიანება. ხმაურზე სახლებიდან გამოსული მოსახლეობა შეეცადა პოლიტიკურად მოტივირებული „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტების დაწყნარებას და დაზარალებულის გამორიდებას. კახნიაშვილმა, მჭედლიშვილმა, გოჩაშვილმა და მაისურაძემ უკვე ყოველგვარი მოტივისა და მიზეზის გარეშე, ხულიგნური ქვენაგრძნობით ცემეს და სხეულის სხვადასხვა დაზიანებები მიაყენეს სახლიდან გამოსულ პირებს-ზ. ვ-ს, მის ვაჟს ბ. ვ-ს, მეუღლეს ქ.მ-ს და მათ სტუმრებს ხ.ს-ს და გ. ს-ს. თავდამსხმელებმა ჩაამტვრიეს იქვე მდგომი ხ. ს-ს ავტომანქანის მინა. ნაცემმა პირებმა ისარგებლეს შექმნილი პაუზით და თავი შეაფარეს ერთ-ერთ ბინას, ხოლო თავდამსხმელები ყვირილითა და გინებით ცდილობდნენ სახლის შესასვლელი კარის შემტვრევას. ამ დროისთვის სახლში იმყოფებოდა 2 წლის ბავშვი. შეშინებულმა ატეხა ისტერიკული ტირილი. შეიქმნა პანიკური სიტუაცია. შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, სახლში შეკეტილი პირები დაუკავშირდნენ პოლიციას, აცნობეს მომხდარის შესახებ და ითხოვეს დახმარება. პოლიციის მისვლისას ვითარება უკვე განმუხტული იყო, — ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

**ინტერპრესნიუსი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**სხვა გაზეთებიდან**

# ნუ ვიჩქარებთ დასკვნების გამოტანას საქართველოს შესახებ

## საქართველოს ახალმა მთავრობამ ოპოზიციის წევრები დააპატიმრა და კრიტიკოსებმაც განგაში ატეხეს. მაგრამ სამართალმა თავისი საქმე უნდა გააკეთოს




**მილიარდერ ბიძინა ივანიშვილის კოალიცია „ქართული ოცნება" სულ რამდენიმე კვირის წინათ არჩევნების შემდეგ მოვიდა საქართველოს ხელისუფლებაში და მიხეილ სააკაშვილის ყოფილი რეჟიმის ბევრი მაღალჩინოსანი დააპატიმრეს. ამას დასავლეთში კრიტიკოსთა შეშფოთებისა და განგაშის ტალღა მოჰყვა. ეს ნაჩქარევი კრიტიკა კი, რომლითაც წარსული მთავრობის მიერ ჩადენილი სერიოზული დანაშაულებანი იჩქმალება, შანსს უსპობს სამართლებრივი პროცესის სათანადოდ წარმართვას.**

ნოემბრის დასაწყისში დააპატიმრეს საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ბაჩო ახალაია და ზოგი სხვა ყოფილი ჩინოვნიკი. დასავლურ პრესაში ამას ნაჩქარევი სტატიების მთელი სერია მოჰყვა. ისინი პოლიტიკური შურისძიების აჩრდილის გამო აფრთხილებდნენ „ქართულ ოცნებას", რომელიც ამჟამად საპარლამენტო უმრავლესობას წარმოადგენს. გასაკვირი არაა, რომ ვერც მედიაში ატეხილმა აურზაურმა და ვერც დასავლელი ლიდერების მკაცრმა სიტყვებმა ვერ შეაჩერა დაპატიმრებების ტალღა და უკვე გამოცხადდა, რომ შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი (რომელსაც მცირე ხნით პრემიერ-მინისტრის პოსტიც ეკავა), ვანო მერაბიშვილი, ასევე დაიბარეს დაკითხვაზე. დამკვირვებელთა უმრავლესობის აზრით, დაპატიმრებათა ტალღა არაფერს კარგს არ უქადის ახალ პოლიტიკურ ძალას, რომელსაც აწ უკვე ოპოზიციად ქცეულმა ყოფილმა მმართველმა პარტიამ, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ" (როგორც ჩანს, უსამართლოდ) აგრესიულად მიაკერა რუსეთის მარიონეტის იარლიყი.

მაგრამ მთელი ამ საჯარო შიშისა და შეშფოთების ფონზე, გასაოცრად ცოტა ყურადღება დაეთმო იმას, თუ ვინ დააპატიმრეს და რატომ. იმ დროს, როდესაც ინგლისურენოვანი პუბლიკაციების ლომის წილი სიტუაციას აფასებს, როგორც ალყაშემორტყმული პროდასავლური ადმინისტრაციის წინააღმდეგ მიმართულ პოლიტიკურ წმენდას, რეალურად, ვითარება ბევრად უფრო კომპლექსურია. თუ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" საქმიანობას გავაანალიზებთ, იდეა, რომლის თანახმადაც ახალაია ან მერაბიშვილი და დანარჩენებიც, უსამართლოდ დადანაშაულებული, ალყაში მოქცეული დემოკრატები არიან, გაიფანტება.

**ახლა იშვიათად ახსენებენ იმ ფაქტს, რომ ახალაიამ და მერაბიშვილმა, რომლებისაც ასე ეშინოდათ, შექმნეს თვალთვალისა და უშიშროების ყოვლისმომცველი და, როგორც ჩანს, უკანონო აპარატი. სწორედ ამან შეუწყო არსებითად ხელი ხელისუფლების დაუსჯელობის ატმოსფეროს შექმნას და სწორედ ეს დაეხმარა „ქართულ ოცნებას" იმაში, რომ პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მოულოდნელად გაიმარჯვა.**

ახალაია, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ახლო მეგობარი და ერთ დროს ქვეყნის პენიტენციარული სისტემის ხელმძღვანელი, მას შემდეგ გადადგა თანამდებობიდან, რაც საქართველოს გაბერილი პენიტენციარული სისტემიდან სისტემური ძალადობის ამაზრზენმა კადრებმა გამოჟონა. მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს, როდესაც სკანდალი ატყდა, ახალაია უკვე შინაგან საქმეთა მინისტრი იყო, სამოქალაქო საზოგადოებამ და საპროტესტოდ გამოსულმა ხალხმა მისი, როგორც საპატიმროების დე ფაქტო უფროსის, გადადგომა მოითხოვა. თავდაპირველად ის წინააღმდეგობას სწევდა, მაგრამ მერე მოთხოვნას დაემორჩილა (გადადგა, აგრეთვე, რეალური მინისტრი, ხათუნა კალმახელიძეც, რომელსაც, გავრცელებული აზრის თანახმად, დიდი ძალაუფლება არ ჰქონდა).

შინაგან საქმეთა სამინისტრომ, სკანდალის საპასუხოდ, თავად გამოსცა ჩანაწერები, რომლებიც „საჭირო" დროს ჩაუვარდა ხელში და ოპოზიციის წევრები დააპატიმრა. ეს ყველაფერი შინაგან საქმეთა სამინისტროში დიდი ხნის წინათ დამკვიდრებული უცნაური ტრადიციის გაგრძელება იყო — ყველა მოულოდნელობაზე ის მამხილებელ ვიდეო და აუდიომტკიცებულებებს ავრცელებდა. ის ფაქტი, რომ ახალაიას დაცემა გაჟონილმა ვიდეოკადრებმა განაპირობა, მართლაც ირონიის შემცველია.

**მერაბიშვილი, სააკაშვილის კაბინეტის თითქმის ყველაზე ძველი წევრი, შინაგან საქმეთა ძლევამოსილი მინისტრი იყო. მას ქვეყნის პოლიციის წარმატებული რეფორმების მეთაურობასაც მიაწერენ და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების უამრავი შემთხვევის თაოსნობასაც. გარდა იმისა, რომ მას ეკისრება პასუხისმგებლობა შიშის ატმოსფეროზე, რომელიც დათესა სახელმწიფო უშიშროების ყოვლისმომცველმა სისტემამ, მისი და ახალაიას ძმის დათას სახელი უკავშირდება 28 წლის სანდრო გირგვლიანის გახმაურებულ მკვლელობას.** გირგვლიანი შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნებმა მოკლეს, როგორც ამბობენ, მწვავე უთანხმოების შემდეგ, რომელიც 2006 წელს თბილისის ერთ კაფეში მოხდა, სადაც მერაბიშვილის ცოლიც იმყოფებოდა. საქმე, რომელიც ოფიციალურ პირთა დაუსჯელობის და დამთმობი სასამართლო სისტემის სიმბოლოდ იქცა, შინაგან საქმეთა სამინისტროს რამდენიმე ჩინოვნიკის დაპატიმრებით დასრულდა. მერაბიშვილის როლი თითქმის მთლიანად იყო იგნორირებული. ეს განწყობები აისახა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დასკვნაში, რომელშიც ნათქვამია, რომ საქმე არასაკმარისად და განზრახ ცუდად გამოიძიეს. **კიდევ უფრო ავისმომასწავებელი გამოდგა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გამოძიება, რომელმაც 2008 წელს, სეპარატისტული რეგიონიდან, აფხაზეთიდან მომავალი ეთნიკური ქართველებით სავსე ორ ავტობუსზე თავდასხმა მერაბიშვილის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელს დაუკავშირა. თბილისი ამ თავდასხმაში სეპარატისტებს ადანაშაულებდა.**

უფრო ფართო კონტექსტში კი სევდიანი რეალობა ასეთი იყო — წინა ხელისუფლება თავის ამაღლებულ პროდასავლურ რიტორიკას საქმით ვერ ამტკიცებდა. მართალია, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ენთუზიაზმით სავსე დამოკიდებულებამ დასავლეთისადმი და შედარებითმა წარმატებამ საქართველოს მოდერნიზაციის პროცესში, ალბათ, წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა მათ კოლეგებზე ვაშინგტონსა და ბრიუსელში, მაგრამ „ნაციონალური მოძრაობის" მიერ შექმნილი პროდასავლური ბრენდი არ უნდა შეგვეშალოს ნამდვილ დემოკრატიზაციაში, რასაც გვიდასტურებს კიდეც ცნობები წინასაარჩევნო გარემოს ანტიდემოკრატიული ხასიათის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ „ნაციონალური მოძრაობა" ძალიან იყო გატაცებული საერთაშორისო ინდექსებითა და რეიტინგებით, დემოკრატიის საზომთა უმეტესობა ძალიან განსხვავდება იმისგან, თუ როგორ ხატავდნენ ვითარებას „ნაციონალური მოძრაობა" და მისი მოკავშირეები.

„ფრიდომ ჰაუსის" შეფასებით, **საქართველოში 2005 წლის შემდეგ დემოკრატიზაციის პროცესს პროგრესი არ განუცდია, ხოლო პრესის თავისუფლება დაახლოებით ისეთივე დარჩა, როგორიც იყო ვარდების რევოლუციამდე, ედუარდ შევარდნაძის მმართველობისას. სხვა შეფასებები კიდევ უფრო ნაკლებად იმედისმომცემია: Economist Intelligence Unit-ის დემოკრატიის ინდექსი 2006-2011 წწ. უკუსვლას ადასტურებს. ხოლო ორგანიზაცია „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე", 2003 წლის შემდეგ პრესის თავისუფლების სფეროში დიდ რეგრესს აფიქსირებს. დღეს საქართველო პრესის თავისუფლების მაჩვენებლით, 104-ე ადგილამდე ჩამოვიდა, ის ჩამორჩება თავისუფლების ისეთ „ნიმუშებს", როგორებიც არიან არცნობილი სამხრეთი კვიპროსი, ჩადი და ეკვადორი.** ეკონომიკის ქართული რეფორმაც კი, რომელმაც, როგორც ბიზნესზე ორიენტირებულმა, დიდი შექება დაიმსახურა, ყურადღებით დაკვირვებისას, სრულიად ამაოდ გამოიყურება. და მართლაც, ძალისხმევას, რომელიც მილიარდერ პრემიერ-მინისტრს ბიძინა ივანიშვილს ვიქტორ იანუკოვიჩის ტიპის, ანტიდემოკრატიული კონტრრევოლუციის ინსპირატორად ასაღებს, ვერაფრით განამტკიცებს თვითონ „ნაციონალური მოძრაობის" ცუდი რეპუტაცია. თუ მხედველობაში მივიღებთ დაუსჯელობის ატმოსფეროს, რომელიც განმსჭვალავდა „ნაციონალური მოძრაობის" მმართველობის თითქმის მთელ პერიოდს, ახალი მთავრობა პოლიტიკურადაც და მორალურადაც უბრალოდ ვალდებულია, გამოიძიოს და გამოასწოროს წარსული დანაშაულებანი.

**ამიტომ ახალი მთავრობის მიერ განხორციელებული დაპატიმრებები სათანადო კონტექსტში უნდა განიხილებოდეს. მართალია, არავის უნდა გაუკვირდეს დაპატიმრებებზე რეაგირება, მაგრამ დასავლეთის რისხვა ძალიან ნაჩქარევი იყო. საბოლოო ჯამში, ახალი მთავრობის ერთგულებას დემოკრატიული იდეალებისადმი და კანონის უზენაესობისადმი გამოცდის არა იმდენად დაპატიმრებები, არამედ ქართული სასამართლო სისტემის ერთგულება ტრანსპარენტულობისა და სამართლებრივი პროცედურებისადმი. ამიტომ მკაცრი შეფასებების გაკეთება ნაადრევია და, შესაძლოა, კიდევ უფრო გააღრმაოს უკვე არსებული განაწყენება თბილისში, სადაც, ბევრის აზრით, დასავლეთი ძალიან იყო დაახლოებული „ნაციონალურ მოძრაობასთან" და ხშირად ძალიან პასიურად რეაგირებდა უკანონობაზე.**

ახალი მთავრობის დადანაშაულება და ხმამაღალი კრიტიკა (სხვათა შორის, ამ მთავრობამ არჩევნებში გასამარჯვებლად მნიშვნელოვანი სტრუქტურული პრობლემები დაძლია), „ქართულმა ოცნებამ" შეიძლება გაიგოს, როგორც მტკიცებულება იმისა, რომ ზოგიერთი დასავლური მედიასაშუალებისა და მთავრობების შტაბბინებში „ნაციონალური მოძრაობისადმი" მხარდაჭერა რეფლექსების დონეზეა გამჯდარი. „ქართული ოცნების" თვალთახედვით, „ნაციონალურმა მოძრაობამ" თავისი ძალადობრივი მმართველობისთვის მხოლოდ მსუბუქი საყვედურები მიიღო, აღარაფერს ვამბობთ ომზე რუსეთთან, ხოლო ახალი მთავრობის მცდელობამ, პასუხი აგებინოს დამნაშავეებს, საპროტესტო გმინვა გამოიწვია. სამწუხაროდ, ვერ ვიტყვით, რომ მათ ასეთი დასკვნისთვის მიზეზი არ მიეცათ.

ცხადია, საქართველოში დემოკრატიის დამყარებას ჯერ კიდევ დიდი დრო სჭირდება. „ნაციონალური მოძრაობის" ცუდი მართვა იქით იყოს და, ახალი მთავრობა რიტორიკით და რეაქციით ვერ აცნობიერებს ლეგიტიმურ შიშს იმაზე, რომ საქართველოში ძალაუფლება შეიძლება ერთი ავტოკრატიდან მეორეს გადაეცეს. მაგრამ დემოკრატიული სიმწიფის ტვირთი დასავლეთმა უნდა აიღოს და არა ექვსი კვირის წინათ ხელისუფლებაში მოსულმა ქართულმა მთავრობამ და მისმა გამოუცდელმა პრემიერ-მინისტრმა. ნებისმიერ შემთხვევაში, თბილისის ქმედებებს უნდა დააკვირდნენ და მას კონსტიტუციური ვალდებულებების შესრულება უნდა მოსთხოვონ, მაგრამ ჯერ კიდევ ძალიან ადრეა იმის განცხადება, რომ ხელისუფლების პირველი კონსტიტუციური ცვლა საქართველოში მარცხით დასრულდა. ასეთი განცხადებები საქართველოს მთავრობის გაუცხოების რისკს შეიცავს, მთავრობისა, რომელიც უკვე ისედაც სენსიტიურად რეაგირებს დასავლეთის არაობიექტურობაზე. თუ დასავლეთი მართლაც წუხს საქართველოში პოლიტიკური პროცესების განვითარების გამო, ძალიან მნიშვნელოვანია, თბილისს მიეცეს დრო და სივრცე სამართლებრივი პროცესების განსახორციელებლად და სამართლიანობის აღსადგენად.

**მაიკლ ჩეჩირე**

Foreign Policy

**ქართული სოფლის ასაღორძინებლად**

# დიდი გრანტი საქართველოს ევროკავშირისგან

**„ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლები ივანიშვილის სახელისუფლო გუნდს მუდმივად აქილიკებენ იმის გამო, რომ დასავლელი პარტნიორები საქართველოში პოლიტიკური დევნის ფაქტების შესაძლო არსებობაზე საუბრობენ. სააკაშვილის გუნდის მხრიდან ხშირად ისმის ცინიკური გამონათქვამები იმასთან დაკავშირებით, რომ დასავლეთი საქართველოს ხელისუფლების ქმედებებით უკმაყოფილოა, ივანიშვილი და მისი გუნდი კი ამ კრიტიკას არაადეკვატურად პასუხობენ. ამ ყველაფრის ფონზე საკმაოდ საინტერესოდ გამოიყურება 40-მილიონიანი გრანტი, რომელსაც ევროკავშირი საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროს განსავითარებლად გადასცემს. ექსპერტები ამბობენ, რომ ეს უპრეცედენტო თანხაა და რომ ამ სიდიდის გრანტი ერთჯერადად საქართველოს ერთი კონკრეტული სფეროს განსავითარებლად არ მიუღია.**

რაც შეეხება თავად გრანტის დანიშნულებას, როგორც ცნობილია, ევროკავშირი და საქართველოს ხელისუფლება სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისათვის ევროპის სამეზობლო პროგრამას განახორციელებს. ამასთან დაკავშირებით, სოფლის მეურნეობის სამინისტროში ევროკავშირის წარმომადგენლებთან სპეციალური შეხვედრა გაიმართა. მინისტრმა დავით კირვალიძემ, ევროკავშირის ელჩმა საქართველოში ფილიპ დიმიტროვმა და ევროკავშირის აღმოსავლეთ ევროპის თანამშრომლობის მისიის ხელმძღვანელმა ანდრეა ფონტანამ შეხვედრაზე პროექტის დაწყების თარიღი და ძირითადი პრიორიტეტები განიხილეს.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, უკანასკნელი 9 წლის განმავლობაში ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ჩვენი უცხოელი პარტნიორები ერთჯერადად ამხელა თანხას გამოყოფენ კონკრეტულად სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლად. გრანტის ფარგლებში დაგეგმილია საქართველოში სურსათის წარმოების გაზრდის და სოფლად სიღარიბის აღმოფხვრის ხელშეწყობა, ასევე გათვალისწინებულია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დახმარება კოოპერაციის მხარდაჭერისა და სერვისცენტრების შექმნის პროგრამაში.

იხ. 4 გვ.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

ბრალდება

# ხაჭაპურიძე პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ აკრძალვას ითხოვს

**ადვოკატი შალვა ხაჭაპურიძე შინაგან საქმეთა სამინისტროს უშიშროების სამსახურის არქივების განსაჯაროვებას და ყველა იმ ფსევდოოპოზიციური პოლიტიკური პარტიის ლუსტრირებას მოითხოვს, რომლებიც სააკაშვილის ხელისუფლებასთან ფარულ გარიგებებში იმყოფებოდნენ. ამის შესახებ განცხადება ადვოკატმა for.ge-ს პრესკლუბში გააკეთა. ამასთანავე, ადვოკატი „ნაციონალური მოძრაობის“, როგორც პოლიტიკური პარტიის აკრძალვასაც ითხოვს.**

**ხაჭაპურიძის თქმით, ჯერ კიდევ 2010 წლის ოქტომბერში ჰააგის საერთაშორისო სასამართლოს პროკურორს ლუის მორენო ოკამპოს მიმართა სარჩელით, რომელშიც მიუთითებდა, რომ საქართველოში ე.წ. ვარდების ხელისუფლებამ ქვეყანაში დაამყარა დანაშაულებრივი რეჟიმი. შედეგად ხდებოდა ადამიანთა პოლიტიკური ნიშნით დევნა-დაპატიმრება, მედიის თავისუფლების შეზღუდვა, ქონებების უკანონო ჩამორთმევები, უდანაშაულო ადამიანთა მკვლელობები და რეჟიმისათვის დამახასიათებელი სხვა მოვლენები. ადვოკატი ამბობს, რომ სარჩელი უკვე მიღებულია წარმოებაში.**

**„საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით დადასტურდა ჩემი პოზიცია იმის შესახებ, რომ ქვეყანაში მართლაც არსებობენ პოლიტიკური პატიმრები და პოლიტიკური დევნილები. პარლამენტმა 190 პირი პოლიტპატიმრად და 25 პირი პოლიტიკურ დევნილად აღიარა. ხსენებული დოკუმენტი დამატებითი მტკიცებულების სახით გადაეგზავნება ჰააგის პროკურორს. ამასთან დაკავშირებით, მოქმედი კანონმდებლობა, „ნაციონალური მოძრაობის“, როგორც დანაშაულებრივი პოლიტიკური პარტიის, აკრძალვის საფუძველს იძლევა“,** — აცხადებს ადვოკატი ხაჭაპურიძე.

მისი თქმით, **პარლამენტის ამ დადგენილებით დადასტურდა, რომ 2003 წლიდან ხელისუფლების სათავეში იყო დანაშაულებრივი რეჟიმი. ამასთანავე, არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ გარკვეული ოპოზიციური პოლიტიკური ძალები ანგარების მიზნით ფარულ გარიგებაში იყვნენ ხსენებულ რეჟიმთან. ხაჭაპურიძის განცხადებით, ისინი მოსახლეობის შეცდომაში შეყვანის მიზნით, ხელისუფლებასთან წინასწარი შეთანხმებით აწარმოებდნენ რეჟიმთან ბრძოლის იმიტაციას, რაც ქმნიდა რეჟიმის უძლეველობის იმიჯს, აღნიშნული მოღალატეობრივი ქმედებით კი ხსენებული ე.წ. ოპოზიციური პოლიტიკური ძალები ისედაც დათრგუნილ მოსახლეობას კიდევ უფრო უიმედო მდგომარეობაში აყენებდნენ.**

**„ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოგმართავთ თხოვნით, ქვეყნის დემოკრატიული პრინციპებით განვითარების, ჯანსაღი პოლიტიკური პროცესების დამკვიდრებისა და შემდგომში მოსახლეობის მხრიდან სწორი არჩევანის გაკეთების მიზნით, მოხდეს სააკაშვილის რეჟიმთან ფარულ გარიგებაში მყოფი პოლიტიკური ძალების ლუსტრაცია, რისთვისაც განსაჯაროვდეს უშიშროების სამსახურის არქივებში არსებული ინფორმაცია იმ ე.წ. ოპოზიციური პოლიტიკური ძალების შესახებ, რომლებიც წლების განმავლობაში, კონსტიტუციისა და დემოკრატიული პრინციპების საწინააღმდეგოდ, ანგარებით, საქართველოს მოქალაქეების ნების საწინააღმდეგოდ, ფარულად თანამშრომლობდნენ სააკაშვილის დანაშაულებრივ რეჟიმთან, რასაც შედეგად მოჰყვა რეჟიმის გახანგრძლივება, ყველა თანამდევი შედეგის გათვალისწინებით“,** — მიმართავს ადვოკატი მთავარ პროკურორს არჩილ კბილაშვილს და ქვეყნის პრემიერ-მინისტრს ბიძინა ივანიშვილს.

ამასთანავე, ადვოკატი ითხოვს, რომ ვინაიდან მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირები მერაბ რატიშვილი და ბესარიონ ხვინთელიანი პარლამენტმა პოლიტპატიმრებად ცნო, მათი საქმეები დროულად გადაეგზავნოს სასამართლოს ხელახალი განხილვისათვის.

**კიდევ ერთი საჩივარი, რომლითაც ადვოკატი ხაჭაპურიძე მთავარ პროკურატურას მიმართავს, მოქალაქე ანა სანდომისაშვილის ინტერესებს იცავს და თბილისში თაღლითების ორგანიზებული ჯგუფის მოქმედების შესახებ იუწყება. ადვოკატის თქმით, წლების განმავლობაში თბილისში მოქმედებდა თაღლითთა დანაშაულებრივი დაჯგუფება, რომლის მიზანიც იყო იპოთეკური სესხების მეშვეობით მოქალაქეთა ბინებისა და ქონების დანაშაულებრივი გზით დაუფლება.** ხაჭაპურიძის განცხადებით, დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩართული




იყვნენ იპოთეკარი ნატო ოსეფაშვილი, ნოტარიუსი ლალი რობაქიძე და ასევე კერძო არბიტრაჟ „ბარისტერის“ არბიტრები სიბაშვილი და გელაშვილი. დანაშაულებრივ ჯგუფს მფარველობას უწევდნენ სხვადასხვა რანგის მაღალჩინოსნები, მათ შორის გენპროკურორის მოადგილე დავით საყვარელიძე. ადვოკატი ამბობს, რომ ამ პირების უკანონო, თაღლითური ქმედების შედეგად საცხოვრებელი ბინები უამრავმა მოქალაქემ დაკარგა, მათ შორის ანა სანდომისაშვილმა, რომელიც უკვე რამდენიმე წელია იბრძვის სამართლიანობის აღსადგენად, მაგრამ უშედეგოდ. აქედან გამომდინარე, ხაჭაპურიძე საქმეზე თაღლითობის მუხლით გამოძიების დაწყებას და დამნაშავეების დასჯას ითხოვს.

**გარდა ამისა, შალვა ხაჭაპურიძე წინა ხელისუფლების მხრიდან მის პოლიტიკური მოტივით დევნაზე საუბრობს და მთავარ პროკურორს მიმართავს განცხადებით, ამ დევნის განმახორციელებელი ადამიანების მიმართ საქმე აღძრას.**

**„2007 წლის 28 აგვისტოს მომივიდა ავტოსაგზაო შემთხვევა, რის გამოც უკანონოდ, თბილისის საპატრულო პოლიციის მიერ ჩემს მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. მალევე გამოძიების შედეგად გაირკვა, რომ საქმეზე უნდა გამოტანილიყო შეწყვეტის დადგენილება, მაგრამ ქალაქის მაშინდელმა პროკურორმა მამუკა გვარამიამ განმიცხადა, რომ ოპოზიციური საქმიანობისთვის თავი დამენებებინა და როგორც მან აღნიშნა, „გამარჯვებული“ პარტიის მხარეს გადავსულიყავი და ასეთ შემთხვევაში, ჩემს მიმართ საქმეს შეწყვეტდა. რა თქმა უნდა, ამაზე პასუხიც კი არ გამიცია და პროკურატურამ საქმე ჩემი ოპოზიციური პოლიტიკური საქმიანობიდან გამომდინარე, არ შეწყვიტა. შედეგად დავკარგე დაზღვევის თანხა 45 000 აშშ დოლარი და ასევე ჩემი მანქანაც. საქმის შეწყვეტის დადგენილება კი მხოლოდ გუშინწინ მომივიდა, ანუ შემთხვევიდან 5 წლის შემდეგ“,** — ამბობს შალვა ხაჭაპურიძე.

გარდა ამისა, მისი თქმით, 2009 წლის ზაფხულში იგი აქტიურად აპროტესტებდა მარტვილში მიწებთან დაკავშირებით არსებულ პრობლემებს და ამის გამო თბილისში საღამოს საათებში თავს დაესხა რამდენიმე პირი. ადვოკატი მიიჩნევს, რომ ამ თავდასხმას აშკარა პოლიტიკური ნიშანი ჰქონდა. მისი თქმით, ჩატარდა ექსპერტიზაც, მაგრამ ვაკე-საბურთალოს პროკურატურამ თავად ხაჭაპურიძის დაზიანებაზე საქმე შეწყვიტა და მხოლოდ მისი მანქანის ფარის დაზიანებას იძიებდა.

**„გამოდის, რომ ჩემი მანქანის ფარს იმ ხელისუფლების პირობებში უფრო მეტი ღირებულება ჰქონდა, ვიდრე პირადად ჩემს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას“,** — აცხადებს ადვოკატი. მისი თქმით, ეს საქმეც დღემდე გამოუძიებელია.

**„გარდა ამისა, ე.წ. ყინწვისის საქმესთან დაკავშირებით დამიკავშირდა ნიკა გოგუაძე და 2011 წლის 27 მაისს, როდესაც წინა დღის აქციის შემდეგ ნაცემი ვიყავი, ჩემი და ნიკა გოგუაძის საუბარი ტელევიზიით გამოქვეყნდა ისე, რომ არავის წარმოუდგენია იმის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ჩემი სატელეფონო საუბრების მოსმენის უფლება ჰქონდათ. ამდენად, დარღვეული იქნა ჩემი კონსტიტუციური უფლება. ამასთანავე, 26 მაისს მე, ჩემი მეუღლე და ჩემი პარტიის რამდენიმე წევრი სასტიკად გვცემეს, რასთან დაკავშირებითაც დაკითხულებიც კი არ ვყოფილვართ“,** — აღნიშნავს ხაჭაპურიძე.

იგი მის მიმართ უკანონობის ჩამდები ყველა პირის დასჯას ითხოვს და განმარტავს, რომ ეს ფაქტები ჰააგის პროკურატურისადმი გაგზავნილ სარჩელშიც აქვს აღწერილი. ადვოკატი ამბობს, რომ ჰააგის პროკურატურასთან აქტიური კომუნიკაცია აქვს, ჰააგიდან პერიოდულად მოსდის ამა თუ იმ დოკუმენტის, ან მტკიცებულების გადაგზავნის შესახებ მოთხოვნა, რასაც ხაჭაპურიძე ასრულებს ხოლმე. ამის მაგალითად ადვოკატს მოჰყავს ის გარემოება, რომ ჰააგის პროკურატურა ინფორმირებული ჰყავდა იმასთან დაკავშირებით, რომ 5 დეკემბერს საქართველოს პარლამენტი პოლიტპატიმრებისა და პოლიტდევნილების საკითხს განიხილავდა. შესაბამისად, მას გუშინ საღამოსვე მიუვიდა თხოვნა, რომ პარლამენტის ეს დადგენილება გადაეგზავნა ჰააგაში. ამასთანავე, ხაჭაპურიძე ამბობს, რომ ჰააგიდან მიწვევა აქვს მიღებული, უახლოეს მომავალში მოუწევს იქ ჩასვლა და მისი საჩივრის საფუძველზე საქმის წარმოების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაცია ამის შემდეგ ექნება.

**დაბოლოს, ადვოკატი აპირებს, 2010 წელს მის მიერ ჰააგის პროკურატურაში შეტანილი სარჩელი ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას გადაუგზავნოს, რათა ისინი იმ პერიოდისათვის საქართველოში არსებული ვითარების შესახებ საქმის კურსში ჩააყენოს.**

ნინო ჟღენტი

მკვლელობა

# როინ შავაძის საქმე პროკურატურამ თაროდან ჩამოიღო

**როინ შავაძის საქმე თაროდან ჩამოიღეს და ახლა ძიება აქტიურ ფაზაშია გადასული. ეს ინფორმაცია for.ge-მ შავაძეების ინტერესების დამცველისგან, ადვოკატ რამინ პაპიძისგან შეიტყო, რომელიც კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის იმ თანამშრომლების გვარებს ასახელებს, რომლებიც შავაძის საქმეზე დაკითხულები არიან და შავაძის მკვლელობაში მონაწილეობას აღიარებენ.**

**შეგახსენებთ, რომ უფროსი სერჟანტი როინ (რომა შავაძე) სენაკის 23-ე მსუბუქ ქვეით ბატალიონში მსახურობდა, მზვერავი გახლდათ. 2005 წლის 1 დეკემბრიდან 2006 წლის 1 ივნისამდე ერაყში სამშვიდობო მისიას ასრულებდა. მანამდე, იგი სხვა ქართველ ჯარისკაცებთან ერთად ამერიკელმა ინსტრუქტორებმა გაწვრთნეს. მიღებული აქვს მედლები, ჯილდოები და სერტიფიკატები როგორც ქართული, ისე ამერიკული მხრიდან. ამის დამადასტურებელი დოკუმენტები მის ოჯახში ინახება.**

**როინ შავაძე 2008 წლის 16 აგვისტოს ბათუმში წამებით მოკლეს. ამ დროისთვის იგი აგვისტოს საომარი მოქმედებებიდან სახლში (ბათუმში) ორი დღის დაბრუნებული იყო. როინ შავაძე ჯერ აწამეს და შემდეგ დახვრიტეს, რაზეც მეტყველებს ჩემს მიერ**



**მოპოვებული ცხედრის სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნები. ოჯახის წევრების მიერ გადაღებული ცხედრის ფოტოები იმდენად შემზარავია, რომ მისი გამოქვეყნებისგან დღემდე თავს ვიკავებთ.**

ჯარისკაცის მკვლელობის შემდეგ ძიება ორი მუხლით დაიწყო — ნარკოტიკის უკანონო შენახვა (რაშიც როინ შავაძე დღემდე ეჭვმიტანილად ითვლება) და განზრახ მკვლელობა. მაშინდელმა ხელისუფლებამ შავაძის მკვლელობისთანავე გაავრცელა ცნობები, რომელთა თანახმად, შავაძე მოღალატე იყო და ასე სასტიკად ამიტომ გაუსწორდნენ. იმაზე, თუ რატომ არ გაასამართლეს, როგორც მოღალატე და რა შუაში იყო ნარკოტიკული დანაშაული, დღემდე არ განუმარტავთ. არაოფიციალური ვერსიით, როინ შავაძე თავიდან მოიშორეს, როგორც ხელისუფლებისთვის არასასურველი ინფორმაციის მატარებელი პირი.

იხ. 9 გვ.

ინფორმაცია

## რა დაჯდა ბათუმობა?

**ბათუმობის ღონისძიებაზე თანხები საეჭვოდ დაიხარჯა, — ამის შესახებ გუშინდელ ბრიფინგზე ბათუმის საკრებულოს ფრაქცია „ბათუმისთვის“ თავმჯდომარემ, „რესპუბლიკელმა“ ირაკლი ჩავლეიშვილმა განაცხადა.**

**როგორც ჩავლეიშვილმა განაცხადა, ბათუმობის ხარჯთაღრიცხვის გაცნობის შემდეგ ცხადი გახდა, როგორ უყაირათოდ, გულგრილად და ხშირ შემთხვევაში, საეჭვოდ იხარჯებოდა საბიუჯეტო თანხები.**

**— როდესაც ბათუმის საკრებულოს და მერიის ხელმძღვანელი პირების პასუხისმგებლობის საკითხს ვითხოვთ, ეს ჩვენი ახირება არ არის. 250 000 ლარია დახარჯული ამ პიარკამპანიაზე, რომელიც „ნაციონალურმა მოძრაობამ“ სექტემბერში ჩაატარა. მილიონის მეოთხედი არაფრისმთქმელ ღონისძიებაზე დაიხარჯა, სადაც არც ერთი ბათუმელი არ იყო ჩართული. მხოლოდ ორი უცხოელი ფოტოგრაფის ჰონორარის და სასტუმროს ხარჯებისთვის 25 000 ლარი დაიხარჯა, მაშინ როდესაც ორ ქართველ ფოტოგრაფს 1 800 ლარი გადაუხადეს, — აღნიშნა ირაკლი ჩავლეიშვილმა. ჩავლეიშვილის თქმით, იგივე ღონისძიებისთვის მომავალი წლის ბიუჯეტში 200 000 ლარი არის გათვალისწინებული.**

ინტერპრესი



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## ◎ აქტუალური ინტერვიუ



# როგორ აღვკვეთოთ კრიმინალური რეჟიმის რეანიმაცია?

**ნომრის სტუმარია სამართლის დოქტორი, სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის ექსპერტი, პროფესორი ბიძინა სავანელი**



**— ბატონო ბიძინა, როგორ შეაფასებდით საქართველოში დღეს არსებულ სიტუაციას?**

— დასავლეთი გარედან მთელი ფრონტით გვიტევს. ამიტომ დასავლეთი პირდაპირი მნიშვნელობით უნდა მოვიგერიოთ იმ დასავლურ სტანდარტებზე აქცენტის გადატანით, რომლითაც ისინი თავიანთ შინაურ პოლიტიკაში და ერთმანეთთან ურთიერთობებში განუხრელად ხელმძღვანელობენ. ამ დროს, ჩვენთან მიმართებაში ისინი სხვა ქვეყნის შინაურ საქმეებში ჩაურევლობის საერთაშორისო სამართლის პრინციპს, მათ შორის ერის თვითგამორკვევის უფლებას, აშკარად ხელყოფენ. უფრო მეტი, ისინი საქართველოში, და საერთოდ ნებისმიერი ქვეყნისთვის დამანგრეველი დაუსჯელობის სინდრომის შენარჩუნებას ხელს უწყობენ, კერძოდ, ისინი გვაიძულებენ, უარი ვთქვათ კანონის უზენაესობის პრინციპზე, და, რაც მთავარია, 9 წლის მონაკვეთში ადამიანების დარღვეული უფლებების სასამართლო წესით აღდგენაზე, ანუ ადამიანთა უფლებების დარღვევათა დაფარვაზე გვიბიძგებენ, რაც თავისთავად სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედებაა. ამიტომ, ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ პრინციპით: „თავდაცვის საუკეთესო საშუალება თავდასხმაა“ (რა თქმა უნდა, დელიკატური ფორმით). არადა, 20 წელზე მეტია, დაუსჯელობის სინდრომით შეპყრობილი საქართველო ციყვივით წრიულ გალიაში დარბის, რაც ჩვენი ზოგიერთი მეზობლის ისტორიული ოცნების ახდენას ემსახურება. ამიტომ არის, რომ ეს მეზობელი ბიძინა ივანიშვილის პრემიერ-მინისტრად მოსვლით ასე შეშფოთებულია.

მდგომარეობას ის ამძიმებს, რომ სულგაყიდული შინაური მტერი გვიტევს. საქმე ისაა, რომ ქვეყნის შიგნით დღეს ურთიერთგამომრიცხავი სამართლებრივი და პოლიტიკური სიტუაცია სააკაშვილმა შექმნა.

**— რა გაქვთ მხედველობაში?**

— სამართლებრივად გვყავს, ერთის მხრივ, პრეზიდენტი, რომელმაც 2004 წლის 6 თებერვლისა და შემდგომი საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად შეუზღუდავი ძალაუფლება მოიპოვა, და, მეორეს მხრივ, პრემიერ-მინისტრი და მთავრობა, რომელსაც იმავე პერიოდის საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად ძალაუფლება საგრძნობლად შეეზღუდა.

პოლიტიკურად პრეზიდენტმა საქართველოში საპირისპირო სიტუაცია შექმნა, როდესაც განაცხადა, რომ ის ოპოზიციაში გადადის და არ გამოიყენებს კონსტიტუციით მისთვის მინიჭებულ ძალაუფლებას.

**— რა გარანტია არსებობს, რომ პრეზიდენტი საქართველოს კონსტიტუციით მისთვის მინიჭებულ ძალაუფლებას არ გამოიყენებს?**

— არავითარი. ეს სააკაშვილის მორიგი ფარსი და იმ მზაკვრული გეგმის ნაწილია, რომლის განხორციელებას ის უკვე 2 ოქტომბრიდან (თუ უფრო ადრე არა) შეუდგა. ქვეყნის შიგნით სააკაშვილი ხალხში 9 წლის განმავლობაში დაგროვილი უკმაყოფილებას თანდათანობით ივანიშვილის წინააღმდეგ მიმართავს, ქვეყნის გარეთ მის მიერ დაქირავებული ლობისტური ფირმების, ზოგიერთი საერთაშორისო ორგანიზაციისა და უცხოეთის სახელმწიფოების სხვადასხვა დონის თანამდებობის პირების და მასმედიის წარმომადგენელთა მოსყიდვით ივანიშვილს დიქტატორად მონათლავს, პარალელურად ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში კონფლიქტური კერების შექმნას დააფინანსებს, და ბოლოს ქვეყანაში ვითომდა წესრიგის აღსადგენად კონსტიტუციის 73-ე და მე-80 მუხლებით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებას აამოქმედებს: მთავრობას გადააყენებს, ახალ მთავრობას დანიშნავს, პარლამენტს დაითხოვს, საგანგებო მდგომარეობას გამოაცხადებს, პრემიერ-მინისტრის პოსტს დროებით შეითავსებს, ხოლო 2014 წლის პირველი იანვრიდან იმ კონსტიტუციურ ცვლილებას აამოქმედებს, რომლის შესაბამისად უპირატესი ძალაუფლება მას, როგორც პრემიერ-მინისტრს გადაეცემა და საპარლამენტო არჩევნებს მხოლოდ ამის შემდეგ დანიშნავს. საერთოდ კი, მისგან ადრე და მოგვიანებით სხვა ბევრი კონსტიტუციური და არაკონსტიტუციური სიურპრიზია მოსალოდნელი.

**— როგორ აღვკვეთოთ სააკაშვილის მიერ კრიმინალური რეჟიმის რეანიმაცია?**

— საქართველოს კონსტიტუციის 63-ე და 75-ე მუხლების შინაარსის გათვალისწინებით **იმპიჩმენტის** წესით პრეზიდენტის გადაყენება საქართველოში მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის არარსებობის პირობებში სრული ილუზიაა. დადებით შემთხვევაშიც კი პროცესი არანაკლებ 6 თვეს დაიკავებს.

**— მაშ სად არის გამოსავალი?**

— საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულის ძალით კონსტიტუცია საქართველოს მოქალაქეებმა საქვეყნოდ გამოაცხადეს, მათ შორის დაეყრდნენ რა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ძირითად პრინციპებს. ამ დროს საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ძირითადი პრინციპი, უფრო მეტი მისი ხერხემალია ქვეყნის მოწყობის საპარლამენტო რესპუბლიკის ფორმა. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია არ იცნობს პრეზიდენტის ინსტიტუტს. ამრიგად, საქართველოს 1995 წლის კონსტიტუციის პრეამბულასა და მის მეოთხე თავს შორის, რომელიც პრეზიდენტის ინსტიტუტს ადგენს, აშკარა წინააღმდეგობა თვალნათლივია.

დღეს მოქმედი საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულასა და საქართველოს კონსტიტუციის მეოთხე თავს შორის წინააღმდეგობის დაძლევის გზა საერთო-სახალხო რეფერენდუმია, რადგან საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის ძალით: „საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლების წყაროა ხალხი. ხალხი თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის და დემოკრატიის სხვა ფორმებით და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით“ (ხალხის წარმომადგენლებს პარლამენტი განასახიერებს — **ბ. ს.**).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რამეთუ საკითხი პრეზიდენტის პოსტს შეეხება, საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულასა და საქართველოს კონსტიტუციის მეოთხე თავს შორის წინააღმდეგობის აღმოფხვრის მიზნით, საქართველოს პარლამენტმა საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის საფუძველზე დაუყონებლივ უნდა მიიღოს დადგენილება რეფერენდუმის ჩატარების შესახებ პრეზიდენტის პოსტის გაუქმება-არგაუქმების თაობაზე.

მით უმეტეს, რომ 1995 წლის კონსტიტუციისა და 2006 წლის 6 თებერვლის საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება თავის დროზე რეფერენდუმის როგორც **უშუალო** დემოკრატიის ფორმის გვერდის ავლით მოხდა, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მეშვიდე მუხლს, რომლის ძალით: „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას სახელმწიფო შეზღუდულია ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც **უშუალოდ** მოქმედი სამართლით“.

და რაც მთავარია. საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლი ერთმანეთისაგან გამიჯნავს სახელმწიფოს ხელისუფლებასა და ხალხის ძალაუფლებას, და უპირატესობას ხალხის ძალაუფლებას ანიჭებს.

**ინტერვიუს უძღვებოდა**
**თენგიზ ლოლაძე**

## ◎ ქართული სოფლის ასაღორძინებლად

(მესამე გვერდიდან)

# დიდი გრანტი საქართველოს ევროკავშირისგან

გარდა ამისა, ამ პროგრამის ფარგლებში კერძო სექტორის განვითარებაში არასამთავრობო სექტორის ჩართვა არის დაგეგმილი. სამინისტროს პრესსამსახურში განმარტავენ, რომ ევროკავშირის მიერ ასეთი უპრეცედენტო სიდიდის გრანტის საქართველოსთვის გადმოცემა იმით არის განპირობებული, რომ ქვეყნის ახალმა ხელისუფლებამ ერთ-ერთ პრიორიტეტად სოფლის მეურნეობის აღორძინება დასახა და, შესაბამისად, ჩვენი დასავლელი პარტნიორების მხრიდანაც ინტერესი გაიზარდა.

**„სოფლის მეურნეობის განვითარება საქართველოს ხელისუფლების ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირი ამ მიმართულებას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს და ასეთი მასშტაბური პროექტის განხორციელებას ერთობლივად ვიწყებთ“,** — განაცხადა დავით კირვალიძემ ევროკავშირის წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ.

ფილიპ დიმიტროვმა კი აღნიშნა — „მომავალ წელს ევროპის საქართველოსადმი მხარდაჭერის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება სოფლის მეურნეობა იქნება. თუმცა, მისია ასევე მუშაობს გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე 2014-2017 წლებისთვისაც. ჩვენ შევხვდით ქართულ მხარეს, რათა ის მიმართულებები განგვესაზღვრა, რომლებიც უფრო საინტერესოა საქართველოსთვის ევროპული დახმარების კუთხით. ვფიქრობ, შეხვედრა საინტერესო და ნაყოფიერი იყო“.

ექსპერტი სოფლის მეურნეობის საკითხებში **პაატა კოღუაშვილი** განმარტავს, რომ სოფლის მეურნეობის სფეროს დასახმარებლად ამხელა გრანტის გამოყოფა ევროკავშირის მხრიდან იმას მოწმობს, რომ ჩვენმა პარტნიორებმა იციან, თანხა მიზნობრივად დაიხარჯება, რისი გარანტიაც მათ წინა ხელისუფლების პირობებში არ ჰქონდათ.

**პაატა კოღუაშვილი: „ამხელა გრანტი ამ სფეროში მართლაც არასოდეს მიგვიღია. საუბარია 40 მილიონზე, საიდანაც 25 მილიონი არის გრანტი, 15 მილიონი კი კოოპერაციისთვის არის გამოყოფილი. საქმე იმაშია, რომ სააკაშვილი სოფლის მეურნეობის აღორძინებით არ იყო დაინტერესებული. მთელი მისი პოლიტიკა აგებული იყო იმაზე, რომ სოფლად გაჭირვება ხელოვნურად შექმნილიყო, რათა ქართული მიწიდან გლეხკაცი აეყარა და ეს მიწები უცხოელებზე, ანუ მოქალაქეობის არმქონე პირებზე გაესხვისებინა. ეს იყო ის დავალება, რომელსაც სააკაშვილი ასე გულმოდგინედ ასრულებდა. ბიძინა ივანიშვილმა კი შეძლო ის, რომ მას ვერავინ დაუშლის სოფლის მეურნეობის განვითარებას და აღორძინებას. ამდენად, მას მისცეს იმის უფლება, რისი გაკეთების არც უფლება და არც სურვილი სააკაშვილს არ ჰქონდა.**

**ბიძინა ივანიშვილს მინიჭებული აქვს კარტ-ბლანში იმისთვის, რომ სოფლის მეურნეობა განავითაროს. ეს გრანტი არის ძალიან დიდი დახმარება და ღმერთმა ქნას, რომ ივანიშვილმა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ეს თანხა ქართული სოფლისა და ქართველი გლეხკაცის მოღონიერებას მოახმარონ. კოოპერაცია სოფლად ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი პროცესია, რადგან დაწვრილერთეულებული სოფლის მოსახლეობა ვერ გასწვდება იმ ამოცანებს და გამოწვევებს, რომლებიც საქართველოს სოფლის მეურნეობის წინაშე დგას. დღეს გვაქვს დაქუცმაცებული საწარმოო ბაზა და საჭიროა მისი კონსოლიდაცია, ასევე გვჭირდება კოოპერაციული საწარმოები და მათი თანამშრომლობა გადამმუშავებელ საწარმოებთან. სწორედ ამ ძირითადი ამოცანების გადასაწყვეტად არის ეს თანხა (15 მლნ) გამოყოფილი, რაც კოოპერაციისთვის არის გამიზნული. აქვე გეტყვით, რომ ამას შესაბამისი საკანონმდებლო ინიციატივები სჭირდება. ამიტომ პარლამენტში მუშავდება კანონის პროექტი „ფერმერული საქმიანობისა და ფერმერული გაერთიანებების შესახებ“.**

ამ დღეებში სოფლის მეურნეობის მინისტრსა და მის პირველ მოადგილესთან შეხვედრა მქონდა, სადაც სწორედ ეს საკითხები განვიხილეთ. სამინისტროს ხელმძღვანელობას ამ სფეროს სპეციალისტებთან კონსულტაციის გავლა სურდა და სწორედ ამის გამო მიმიწვიეს. მათ მიერ დასახული გზა სწორია და იმედია, ყველაფერს სათანადოდ გააკეთებენ, რადგან კარგად ესმით, რომ გლეხკაცი და ქართული სოფელი ქვეყნის ფეხზე დადგომისათვის გადამწყვეტი ფაქტორია.

**— ბატონო პაატა, არის თუ არა ამ გრანტის ფარგლებში კონკრეტულად გაწერილი, თუ რომელ პროგრამაზე რა თანხა უნდა დაიხარჯოს?**

— როგორც მოგახსენეთ, ამ გრანტიდან 15 მილიონი კოოპერაციას უნდა მოხმარდეს, 25 მილიონი კი ზოგადად სოფლის მეურნეობის სფეროს ასაღორძინებლად არის გამოყოფილი. აქედან 3 მლნ განკუთვნილია თავად სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეორგანიზაციისთვის, რეგიონებში მისი სტრუქტურული ერთეულების შესაქმნელად და ა.შ. ამასთანავე, ზუსტად არ მახსოვს, 6 ან 9 მილიონი ლარი უშუალოდ აჭარის რეგიონში სოფლის მეურნეობის სფეროს განსავითარებლად არის გაწერილი. მოგეხსენებათ, აჭარაში მეციტრუსეობა, მეცხოველეობა და მეთამბაქოეობა გვაქვს და ეს თანხა ამ დარგების განსავითარებლად დაიხარჯება. დანარჩენი თანხაც მთელს საქართველოში სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგების აღორძინებას მოხმარდება.

**— თქვენ თქვით, რომ სააკაშვილს არ აძლევდნენ სოფლის მეურნეობის აღორძინების უფლებას, ხოლო ივანიშვილს ამ მხრივ კარტ-ბლანში აქვს მიცემული. ვისგან იყო ეს აკრძალვა?**

— ივანიშვილმა იმთავითვე გააკეთა განცხადება ამასთან დაკავშირებით და ეს მთელმა მსოფლიომ ნახა. ყველამ დაინახა, რომ ამ კაცმა საქართველოს ეკონომიკის აღორძინებაში სოფლის მეურნეობის როლი და ადგილი სწორად შეაფასა და ისიც ნახეს, რომ ივანიშვილი ამ საკითხში უკან არ დაიხევს. სააკაშვილის და მისი გუნდის საქმიანობა კი ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ იყო მიმართული. იგი ქვეყნის ნგრევას ორი გზით ახორციელებდა. პირველი იყო ის, რომ არჩევნების ტოტალური გაყალბების გზით მოდიოდა ხელისუფლებაში, ხოლო მეორე იყო ის შიში და ტერორი, რომელსაც იგი ქვეყანაში ნერგავდა.

**— თქვენ მიიჩნევთ, რომ ევროპაში დაინახეს, რომ ეს თანხა მიზნობრივად გაიხარჯებოდა და ამიტომ გვაძლევენ ამხელა გრანტს?**

— დიახ, ისინი დარწმუნდნენ, რომ ეს თანხა მიზნობრივად დაიხარჯება. მინდა, ასევე იმათ გასაგონად ვთქვა, ვისაც ამ თანხის დახარჯვაში მოუწევთ მონაწილეობა, რომ ბიძინა ივანიშვილი ძალიან მკაცრი იქნება მათ მიმართ და ღმერთმა არ ქნას, ვინმეს ამ ფულის არამიზნობრივად დასახარჯად წაუცდეს ხელი.

**რუსუდან უშიკიშვილი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# უცნობი სვეტლანა ალილუევა

## აშშ გამოძიების ფედერალურმა ბიურომ საიდუმლოება მოუხსნა სტალინის ქალიშვილის დოსიეს ნაწილს

**სტალინის ქალიშვილი, სსრ კავშირიდან გაქცევის შემდეგაც კი, თავის თავს მთელი სიცოცხლის განმავლობაში „თავისი მამის სახელობის პოლიტიკურ პატიმარს უწოდებდა“.**

ამერიკის გამოძიების ფედერალურმა ბიურომ საიდუმლოება მოუხსნა იმ დოკუმენტების ნაწილს, რომლებიც შეეხება იოსებ სტალინის ქალიშვილს სვეტლანა ალილუევას, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიცა 1967 წელს.

ძირითადად დოსიე შედგება საგაზეთო სტატიებისა და სააგენტური პატაკებისგან, რომლებიც მიზნად ისახავდნენ, თუ რამდენად მოქმედებდა სტალინის ქალიშვილის გაქცევა ამერიკის შეერთებულ შტატებში ურთიერთობებზე ორ ქვეყანას შორის.

ამას გარდა, როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლება ცდილობდა, დაედგინა, თუ როგორ შეეძლო ამ ფაქტს მოეხდინა გავლენა სხვა ადამიანებზე სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში ემიგრაციაში წასვლის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

გამოქვეყნებული მასალები განეკუთვნება 1960-იანი წლების ბოლოს. კერძოდ, გრიფი „საიდუმლოა“ მოეხსნა 233 ფურცელს.

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო აღნიშნავს, გამოძიების ფედერალურმა ბიურომ სერიოზული შესწორებები შეიტანა დოსიეში გამოქვეყნების წინ.

ეს განმარტეს „ზოგიერთი დოკუმენტის მნიშვნელობით საგარეო პოლიტიკისთვის“, აკრძალვით — გაახმაურონ ინფორმაციის ზოგიერთი წყარო, აგრეთვე თავად ალილუევას უფლებით პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის შესახებ.

დოსიეს კიდევ 94 ფურცელი კვლავ გასაიდუმლოებულია. გამოძიების ფედერალური ბიურო ამას განმარტავს ამ დოკუმენტების მნიშვნელობით ამერიკის შეერთებული შტატების სხვა სააგენტოებისა და ორგანიზაციებისთვის.

იოსებ სტალინის ერთადერთი ქალიშვილი სვეტლანა ალილუევა 1926 წელს დაიბადა. მან დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, მუშაობდა მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტში.

1967 წელს ინდოეთში მოგზაურობის დროს ალილუევამ უარი განაცხადა სსრ კავშირში დაბრუნებაზე, რის შემდეგაც საცხოვრებლად ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა. სსრ კავშირში მას ორი შვილი დარჩა.

სვეტლანა ალილუევა, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში თავისი მესამე ქმრის გვარზე გადავიდა, გახდა ლანა პიტერსი, მას მიაჩნდა, რომ უშიშროების სახელმწიფო კომიტეტს შეუძლია მასზე ძიება გამოაცხადოს. კერძოდ, სსრ კავშირში შეერთებული შტატების ყოფილი ელჩი ჯორჯ კენანი 1967 წელს იტყობინებოდა ალილუევას შეშფოთების შესახებ. მაგრამ გასაიდუმლოებულ დოკუმენტებში არ არის დადასტურებანი, რომ ასეთი დევნა მართლაც იყო.



მეორე დოკუმენტის თანახმად, რომელიც 1967 წლის ივნისს განეკუთვნება, გამოძიების ფედერალური ბიუროს დაუსახელებელი აგენტი შეხვდა ვაშინგტონში სსრ კავშირის საელჩოს მეორე მდივანს მიხაილ ტრეპიხალინს და მან განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობა ნეგატიურად მოეკიდა ალილუევას გაქცევას ქვეყნიდან და მიაჩნდა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუძლია გამოიყენოს მისი ისტორია „პროპაგანდისტული მიზნებისთვის“.

ამას გარდა, დიპლომატმა განაცხადა, რომ ალილუევას საქციელმა შეიძლება „დაანგრიოს ურთიერთობანი ორ ქვეყანას შორის“.

ამავე დროს, მეორე წყარო იუწყებოდა, რომ საბჭოთა მთავრობა, რომელიც მაშინ სტალინის „პიროვნების კულტს“ ააშკარავებდა, მშვიდად უყურებდა სვეტლანას გაქცევას დასავლეთში, ვინაიდან მიაჩნდა, რომ ეს „ახდენს თვით სტალინის სახელისა და მისი ოჯახის წევრების დისკრედიტაციას“.

ამერიკის შეერთებულ შტატებში გაქცევის შემდეგ ალილუევას ჩამოერთვა საბჭოთა მოქალაქეობა, და სამშობლოში დაბრუნება მან მოახერხა მხოლოდ 1984 წელს. მაგრამ საბჭოთა კავშირში ცხოვრება მან მაინც ვერ შეძლო და 1986 წელს დატოვა სამშობლო მეორედ — ამჯერად უკანასკნელად.

ალილუევამ ცხოვრების ბოლო წლები ვისკონსინის შტატში გაატარა. იგი გარდაიცვალა 2011 წლის 22 ნოემბერს 85 წლის ასაკში.

**„სრ“ რედაქციისგან: რედაქციაში მზად გვქონდა სვეტლანა იოსების ასულ ალილუევას მიერ დაწერილი ორი დოკუმენტი, რომლებიც მისი თბილისში ცხოვრების პერიოდს ეხება. აშშ ფედერალური ბიუროს მიერ სტალინის ქალიშვილის დოსიეს ნაწილისთვის საიდუმლოების მოხსნის ცნობამ გვაფიქრებინა, რომ მკითხველისთვის საინტერესო იქნებოდა დოკუმენტების ამ ინფორმაციასთან ერთად გამოქვეყნება.**

**ისინი, დოკუმენტები, მივაკვლიეთ ცნობილი სახელმწიფო მოღვაწის ჯუმბერ პატიაშვილის პირად არქივში. ვაქვეყნებთ ბატონი ჯუმბერის თავაზიანი ნებართვით.**

# „ჩემ უკან ყოველთვის მამაჩემის აჩრდილი დგას“...

**სვეტლანა იოსების ასულ ალილუევასგან.
პერსონალური პენსიონერი.
დაბ. 1926 წელს,
მცხოვრები თბილისში,
საქართველოს სსრ, ი. ჭავჭავაძის პრ. №75 ბ. №5. ტელ. 22.58.60**

**სსკპ ცენტრალურ კომიტეტს,
სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს,
მ. ს. გორბაჩოვს
სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმს
მოსკოვი**

**განცხადება**

I. 1984 წლის შემოდგომაზე ქალიშვილ ოლგა პიტერსთან ერთად სსრ კავშირში დავბრუნდი. ამ ნაბიჯზე მიბიძგა მიმოწერამ ჩემს ვაჟიშვილს იოსებ ალილუევთან, რომელიც ხშირად გვწერდა ორივეს ინგლისში იმის შესახებ, თუ როგორ ვენატრებით ორივენი. ჩვენ შეგვექმნა მცდარი შთაბეჭდილება, რომ ჩემი ვაჟი, უფროსი ქალიშვილი და ორი შვილიშვილი სსრ კავშირში მოუთმენლად გველიან და ძალიან გველოდებიან მთელი ამ წლების განმავლობაში. მე თავადაც ასეთი გრძნობა მქონდა მათ მიმართ დაშორების მთელი 17 წლის განმავლობაში, მათზე დარდი ჩემთვის ზოგჯერ აუტანელი ხდებოდა, სჭარბობდა ყველა სხვა აზრსა და ვითარებას.

ამ გრძნობას აყოლილმა მოთხოვნა შევიტანე სამშობლოში დაბრუნებაზე 1984 წლის სექტემბერში (ლონდონში), მოგვიანებით კი მოსკოვში, იმავე წლის ნოემბერში. ვითხოვდი სსრ კავშირის მოქალაქეობის აღდგენას. ამერიკაში დაბადებული ჩემი ქალიშვილის სსრ კავშირის მოქალაქეობის მიღებაზე თხოვნას არ ვაპირებდი, ვინაიდან ეს აუცილებლად გამოიწვევდა იურიდიულ კონფლიქტს დასავლეთში. თანაც მე ის მოტყუებით, თითქმის ძალით წამოვიყვანე, მას არ უნდოდა თავის სკოლა-პანსიონის მიტოვება ინგლისში. თუმცა, საგარეო საქმეთა სამინისტროს მუშაკებმა მიკარნახეს, თუ რა და როგორ დამეწერა, — მეთხოვა „ოლგა პიტერსის“ ჩართვა სსრ კავშირის მოქალაქეობაში“. შემდეგ საინფორმაციო ცნობაში ნათქვამი იყო, რომ ეს გაკეთდა ჩემი „თხოვნით“.

კონფლიქტი შედგა, იყო პრესის მძაფრი რეაქცია, რომელიც ნადირობას აცხადებდა გოგონაზე, რომლისთვისაც იმის თქმაც კი არ შემეძლო, რომ ის ახლა საბჭოთა მოქალაქეა, — ის მკაცრ პროტესტს განაცხადებდა! მოგვიწია უბრალოდ თავი აგვერიდებინა რეპორტიორებისთვის, შემდეგ კი მოსკოვიდანაც წავსულიყავით. ოლგას დღემდე თავი ამერიკაში მიაჩნია. მას ისიც არ ესმის, თუ რა არის „ორმაგი მოქალაქეობა“ (რასაც სსრ კავშირი, სხვათა შორის, რატომღაც არ აღიარებს, მაშინ, როდესაც დღეს მსოფლიო სავსეა ორმაგი და სამმაგი მოქალაქეობის ადამიანებით).

ჯერ კიდევ ლონდონში, როდესაც სამახსოვროს ვაგზავნიდი, მას დავურთე ორი წერილი: ერთი ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს, მეორე — ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მისამართით, რომლებშიც განვმარტავდი სსრ კავშირში ჩემი დაბრუნების ადამიანურ, და არა პოლიტიკურ, მიზეზებს და რომლებშიც კატეგორიულად ვიმეორებდი იმის შესახებ, რომ არ მსურდა, გამომეწვია რაიმე პოლიტიკური კონფლიქტები. არ ვიცი გადაეცა თუ არა ეს ჩემი ორი წერილი ადრესატებს, მაგრამ კონფლიქტები არ იქნებოდა, ჩვენს საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ არ მოეხდინა მათი პროვოცირება — მოსკოვში ამერიკის შეერთებული შტატების კონსულს დაუბრუნა ჩვენი ამერიკული პასპორტები. ამ გამომწვევმა ჟესტმა ქარიშხალი წარმოშვა. კონსულს სურდა დაუყოვნებლივ შეგვხვედროდა ჩვენ, რათა განემარტა „ორმაგი მოქალაქეობის“ იურიდიული მდგომარეობა. მე მხოლოდ მიჩვენეს მისი წერილი, რომელიც არ დამიტოვეს და წაიღეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში. კონსულთან შეხვედრა მაშინ მე არ მინდოდა, ვინაიდან გაირკვეოდა, რომ მე ქალიშვილი მისი ნების გარეშე წამოვიყვანე. თავად იგი პირდაპირ განაცხადებდა მაშინ ამის შესახებ. მაგრამ მე კონსულთან შეხვედრის გარეშეც ვიცოდი, რომ ამერიკის მოქალაქეობა ავტომატურად კი არ უქმდება, არამედ საჭიროა ოფიციალური განცხადება ასეთი სურვილის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა წინაშე. ჩვენ სსრ კავშირში წელიწადნახევარია ვცხოვრობთ „ორმაგი მოქალაქეობით“, რასაც სსრ კავშირის კანონები არ აღიარებს.

II. მე ვხელმძღვანელობდი ნორმალური ადამიანური გრძნობებით როდესაც სსრ კავშირში დაბრუნებას ვითხოვდი. მაგრამ წელიწადნახევრის შემდეგ აშკარად ვხედავ, რომ ჩემი ვაჟიშვილი ცრუობდა, როდესაც გვწერდა მე და ჩემს ქალიშვილსაც კი სენტიმენტალურ წერილებს, ვხედავ, რომ ჩვენ არ ვჭირდებით არც მას, არც მის ცოლს, არც ჩემს უფროს ქალიშვილ ეკატერინეს, არც ჩემს ორ შვილიშვილს (ერთი მათგანი თექვსმეტი წლისაა, მას შეიძლება ჰქონდეს თავისი აზრი). უფრო მეტიც, ყველა მათგანი უხეშად მაყენებს შეურაცხყოფას, მათ ეჯავრებათ ჩემი უმცროსი ქალიშვილი, ჩვენს შესახებ მოსკოვში ავრცელებენ ათასგვარ ჭორებს და ცილისწამებას. ეკატერინემ კი ჩემდამი თავისი ერთადერთ წერილში (მან ჩემთან შეხვედრაც არ ისურვა) განაცხადა, რომ არ სურს, ჰქონდეს რაიმე კონტაქტი“ ჩვენთან. მისი წერილი აღსავსეა ჩემდამი ღრმა სიძულვილით. ჩემი ვაჟი და ქალიშვილი ამ წლების განმავლობაში სრულიად შეიცვალნენ და ახლა არც მე, არც ჩემს უმცროს ქალიშვილს არანაირი სურვილი არ გვაქვს, გვქონდეს მათთან „კონტაქტი“. ისინი — ჩემი შვილები არ არიან. მათ დიდი ხნის განმავლობაში ასწავლიდნენ — და, ბოლოს და ბოლოს, ასწავლეს კიდეც ვეჯავრებოდე მე.

III. ჩვენ წავედით საქართველოში, რათა შვილისა და რძლისგან (სპეკულიანტისა და ლოთისაგან), მათი მოულოდნელი სიურპრიზებისგან შორს ვყოფილიყავით. წლინახევრის განმავლობაში, რაც საქართველოში გავატარეთ, გულწრფელად ვცდილობდით, ჩავრთულიყავით ცხოვრებაში: მომეწესრიგებინა ქალიშვილის სწავლა, გვემეგობრა ახალ მეგობრებთან საქართველოში, წესრიგში მომეყვანა ჩემი ძმისწულების საქმეები; საზოგადოებრიობის თვალში მომეხდინა რეაბილიტაცია ჩემი პირველი წიგნის, „20 წერილი მეგობრებს“ (სრულიადაც ოჯახის არაანტისაბჭოური ისტორია, რომელიც 1963 წელს დაიწერა სსრ კავშირში), მეზრუნა მისი აქ გამოცემისთვის, რითაც



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## არქივი

მომეხდინა მისი ავტორის, ანუ ჩემი რეაბილიტაცია.

ყველა ამ საკითხზე მე ვწერდი საგარეო საქმეთა სამინისტროში, უმაღლეს საბჭოში, სსკპ ცენტრალურ კომიტეტში, მე იმასაც ვცდილობდი, მიმექცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ყურადღება წარსულის აღმაშფოთებელ ფაქტებზე, ჯერ კიდევ რომ უმალავდნენ ხალხს: ი. ბ. სტალინის 1953 წლის გარდაცვალების ვითარებას; ჩემი ძმის ვასილი სტალინის 1962 წელს გარდაცვალების გამაოგნებელ ვითარებას. მივუთითებდი უკანონობაზე, რაც გარს ახვევია ჩემი ორი ძმის, იაკობისა და ვასილის ხსოვნას, უკანონობას, რომლებიც ჩაიდინეს და სჩადიან ქალები — ავანტიურისტები, რომლებიც ეტმასნებიან სახელსა და პრივილეგიებს, რაც ამ სახელთან ერთად მოდის. მე ყველგან გავიძახოდი ცრუ შვილიშვილის შესახებ ურიუპინსკიდან, პოლკოვნიკ ევგენი გოლიშევზე, რომელიც უკანონოდ ატარებს ჯუღაშვილის გვარს, ადამიანზე, რომელსაც **იაკობ იოსების ძე არასდროს აღიარებდა** თავის შვილად, ადამიანზე, რომელიც საზოგადოებას ატყუებს. ყველაფერი ამაო იყო. არავინ და არსად არ მისმენენ. ჩემს ოფიციალურ წერილებზე პასუხს არ იძლევიან. ჩემს დასკვნებს არავინ ეკიდება სერიოზულად, უფრო მეტიც — ამ ავანტიურისტ ევგენი გოლიშევს უფრო ენდობიან, ვიდრე მე! თითქოს ვინმემ ჩემზე მეტი იცოდეს ი. ბ. სტალინის ოჯახის ცხოვრებაზე. ვიღაც ცრუმორწმუნეებს ნებას აძლევენ, გამოვიდნენ პრესაში, წერონ წიგნები (სტადნიუკი, ი. ჯორჯაძე), სადაც ისინი ათასგვარ მოგონილ ამბებს თხზავენ იაკობ ჯუღაშვილის, ვასილ სტალინის და თავად ი. ბ. სტალინის ცხოვრების შესახებ.

*შევეცადე დავხმარებოდი ი. ბ. სტალინის მუზეუმს გორში — უნიკალურ მუზეუმს, სადაც უნდა შეაგროვონ **რაც შესაძლებელია** ი. ბ. სტალინის ცხოვრების შესახებ; მათთვის ვეძებდი ორიგინალურ ფოტოარქივს, მინდოდა დავხმარებოდი მისი ექსპოზიციით, მაგრამ სხვა ადამიანებმა გამომაძევეს, „რომლებმაც უკეთესად იციან“ (აფერისტი თენეიშვილის მსგავსად). მუზეუმს ეშინია, ვერ ბედავს, არ აქვს უფლება, ყური უგდოს ჩემს მორიდებულ რჩევებს თუნდაც იმ ფოტოგრაფიების განთავსების შესახებ, რომლებიც მევე მოვიძიე მათთვის. ჩემ წინაშე თითქმის მუხლს იყრიან, თუმცა, არ მისმენენ.*

**მაგრამ ეს ყველაფერი სავსებით გასაგებია.** იმიტომ, რომ სსრ კავშირში ჩვენ არავინ გველოდებოდა, არავის სურდა ჩვენი აქ კვლავ ნახვა. ჩვენ ყველას მოულოდნელად დავატყდით თავს: ჩემი 17 წლის ემიგრაციის განმავლობაში **არავინ, ერთხელაც კი,** არ მოსულა (თუ 1967-68 წლების იშვიათ შემთხვევებს არ მივიღებთ მხედველობაში) ჩემთან, რომ მომლაპარაკებოდა დაბრუნების შესაძლებლობის შესახებ, თუნდაც იმის გამოსარკვევად, თუ რას ვფიქრობ სსრ კავშირის შესახებ? განსაკუთრებით ინგლისში ეს არც ისე ძნელი საქმე იყო, მაგრამ ეს არავის სჭირდებოდა! მე კი გამომაცხადეს ჯერ „გიჟად“, შემდეგ კი „საავტომობილო კატასტროფაში დაღუპულად“ და საერთოდ, ერჩიათ სულ დავევიწყებინე. სსრ კავშირის მთავრობა არანაირად არ იყო დაინტერესებული ჩემი დაბრუნებით (და კიდევ იმ ამერიკელი გოგონას დაბრუნებით, რომელიც რუსულად ვერ ლაპარაკობდა). **ჩემთან ერთად** ხომ შეიძლებოდა დაბრუნებულიყო ძველი პრობლემები **ი. ბ. სტალინის** აჩრდილი, ჩემი ძმის ვასილის აჩრდილი — რა საჭიროა ყოველივე?.. უკვე შეიქმნა მათ შესახებ საკუთარი ვერსიები, უფრო ხელსაყრელი, უკვე მონახეს ცრუმოწმეები; ასე ხომ უმჯობესია, ვიდრე **ქალიშვილი,** რომელმაც თავადაც ყველაფერი იცის...

IV. ყოველივე აქედან გამომდინარე მე ვაკეთებ **ჩემს პირველ დასკვნას:** ან ჩემი ვაჟიშვილი მწერდა თავში ღვინოავარდნილი (ის დიდი ხანია და ბევრს სვამს); ან ის იქცა მსხვერპლად ძველი ჩეკისტური ტრიუკებისა, რასაც „ნათესავების მეშვეობით შემოტყუება“ ეწოდება. ეს ტრიუკი დიდი ხანია ცნობილია, მას იყენებდნენ რუსი ემიგრანტების მიმართ არაერთხელ და ამჯერადაც იგი გამოუვიდათ; ჩვენ სატყუარა ავკენკეთ და ჩამოვედით. და აქ ყველა დაიბნა, რა გვიქნან, როგორ მოიქცნენ, როგორ მოგვეპყრონ. სტუმართმოყვარე საქართველოშიც კი დიდი ეჭვით შეგვხვდნენ, და შევარდნაძემ „დავალება“ მისცა საზოგადოებისაგან ჩვენი სრული იზოლაციის შესახებ. ჩვენ ჩაგვასახლეს ქალაქის საგარეო რეზიდენციაში, აგვიკრძალეს ქალაქის ქუჩებში სიარული და მოგვიჩინეს პირადი, შერჩეული ფრეილინები — ურთიერთობებისთვის... ნებისმიერი წვრილმანი პირველი მდივნისთვის უნდა შეგვეთანხმებინა. ეს იყო **საშინელება!** მე და ჩემი ქალიშვილი ოქროს გალიის ტუსაღები აღმოვჩნდით და ყველას მიაჩნდა, რომ ეს უნდა გვიხაროდეს. მე პროტესტს ვაცხადებდი, როგორც შემეძლო, და მხოლოდ ერთი წლის შემდეგ ვითარება ოდნავ შეიცვალა. მაგრამ ჩვენი მაინც ეშინიათ, მეგობრების შეძენაც კი შეუძლებელია.

ყველა ელოდება მითითებას **ზემოდან,** როგორ მოვიქცეთ. მითითება კი დღემდე არაა, რადგან მთავრობას უფრო მნიშვნელოვანი საქმეები აქვს.

მე როგორღა მოვიქცე? როგორ უნდა ვიცხოვრო საკუთარ ქვეყანაში? მე ხომ ან ჩამორთმეული უფლებები უნდა აღმიდგინონ და გამიკეთონ რეაბილიტაცია ხალხის თვალში (თუნდაც გადამიყვანონ „გიჟიდან“ ნორმალურში), ან კვლავ ოქროს გალიაში მამყოფონ (როგორც უნიკალური ფრინველი), უზრუნველყმყონ მატერიალური სიკეთითა და კომფორტებით. ჯერჯერობით ამ მეორეს აკეთებენ. ელოდებიან მითითებებს.

ასეთი ვერსიაც კი გაავრცელეს, თითქოს დავბრუნდი „სტალინის, როგორც პოლიტიკური ბელადის, მთელი მისი საქმიანობისა და იდეების მომავალი რეაბილიტაციის“ იმედით. იყო ვერსიაც, რომ მეც სწორედ ასეთი მოვლენების წინათგრძნობით **გამომგზავნეს საქართველოში,** როგორც რაღაც თვალსაჩინო საშუალება... ჩემი წიგნიდან „20 წერილი მეგობარს“ აშკარად ჩანს, რომ, თუმცა მე მიყვარდა ჩემი მამა, როგორც მშობელი, არასოდეს ვყოფილვარ მთელი მისი საქმიანობის ბრმა თაყვანისმცემელი, განსაკუთრებით **იმისა,** რისკენაც მას უბიძგებდა ბერია. ძალიან მიჭირს „ვასიამოვნო“ როგორც სტალინელებს, ისე ანტისტალინელებს, ვინაიდან მე არ ვუერთდები არც ერთ, არც მეორე მხარეს, და მაქვს **ჩემი აზრი** მამაჩემის შესახებ, ხშირად ძალიან კრიტიკული. მაგრამ მე უარს ვაცხადებს შევუერთდე მათ, ვინც მისგან ქმნიდა „ხელის შემშლელს“ სამამულო ომის წარმოებაში. მისი ავტორიტეტის გარეშე ჩვენ 1941-54 წლების ომს ვერ მოვიგებდით. მე უბრალოდ მიყვარს **ჩემი ორივე მშობელი,** დედაჩემი კი ნ. ს. ალილუევა **არასოდეს** აღიარებდა „ხალხის მტრებად“ მისთვის ისეთ ახლობელ ადამიანებს, როგორებიც იყვნენ ა. ენუქიძე, ნ. ბუხარინი, სვანიძე, რედენსი და ბევრი, ბევრი სხვა... შეიძლება, ის რომ ცოცხალი ყოფილიყო, „ოპოზიციაში“ მოხვდებოდა სხვებთან ერთად.

*მე ხომ ბავშვი აღარ ვარ. მე სერიოზულად შევისწავლე საზოგადოებრივი მეცნიერებები, პარტიისა და საბჭოთა საზოგადოების ისტორია, და **ვიცი, სადაც ვდგავარ:** დედაჩემის გვერდით. შემთხვევითი როდია, რომ მის გვარს ვატარებ. ეს კი ჩემს თვალსაზრისს ხდის **ნაკლებად გასაგებს** სხვებისთვის, ვინც შეეჩვია, რომ ყველაფერი გაყოს **მომხრეებად** და **მოწინააღმდეგეებად.** აი, რომ გამოეცათ ჩემი წიგნი, ბევრი რამე გასაგები გახდებოდა.*

**V. ჩემი მეორე დასკვნა** არის ის, რომ მე შეცდომა დავუშვი, როდესაც უეცრად გადავწყვიტე დავბრუნებულიყავი საზოგადოებაში, რომელსაც სრულიად გადავეჩვიე 17 წლის განმავლობაში და რომელიც მე გადამეჩვია. მე თავად **უკიდურესად მიჭირს** ახლა შევიდე მასში ისე, თითქოს არაფერი მომხდარიყოს... ეს არ გამომდის, და ვერც გამომივა. მე არა ვარ პირფერი. და რადგანაც ის ოჯახი, სადაც ჩვენ მივდიოდით, თურმე, აღარ არსებობს, ეს ნიშნავს, რომ **არანაირი საფუძველი** ჩემი დაბრუნებისთვის, არსებითად, **არც არსებობს და არც ყოფილა.** სულ ერთი კვირა დასჭირდათ გადაწყვეტილებისთვის — მიეცათ ჩემთვის ნება, დავბრუნებულიყავი, ცხადია, არც დაფიქრებულან, არც უთათბირიათ, არც გადაუწყვეტიათ, თუ რა იქნებოდა დაბრუნების შემდეგ. როგორ შეაფასებს ამას ხალხი? არ გაიკვირვებს, ყოველივე მის შემდეგ, რაც მათ მოისმინეს ჩემს შესახებ მთელი ამ წლების განმავლობაში? და ჩემთვის ნათელი ხდება, თუ რატომ არავინ აქცევს სერიოზულად ყურადღებას ჩემს სიტყვებს, წერილებს, განცხადებებს... უკვირთ კიდეც: **კიდევ რაღაც უნდა მას?!**

**და ჩემი მესამე დასკვნა** ყოველივე ნათქვამის შემდეგ: **ამიტომ** მე და ჩემს ქალიშვილს გვინდა ვისარგებლოთ ჩვენი უფლებებით, რასაც გვანიჭებს ჩვენი მოქმედი ამერიკული მოქალაქეობა, და გვსურს, წავიდეთ სსრ კავშირიდან (ვინაიდან კანონი სსრ კავშირში არ აღიარებს „ორმაგ მოქალაქეობას“, ჩვენ **გთხოვთ ჩვენს გამოყვანას** სსრ კავშირის მოქალაქეობიდან, რომელიც მეტად უეცრად მოგვანიჭეს, ასე რომ ვერავინ მოასწრო იმაზე დაფიქრებაც კი, ხომ არ იყო ამის გაკეთება ძალიან ნაადრევი!..). ქალიშვილი დაბრუნდება თავის პანსიონში ინგლისში, მე კი ჩემს სიცოცხლეს დავასრულებ რომელიმე წყნარ, ნეიტრალურ ქვეყანაში (ამ საკითხს მე ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლებთან გადავწყვეტ). საბჭოთა მთავრობას შემიძლია მივცე სიტყვა (მე მას შევასრულებ), რომ არ ვილაპარაკო რეპორტიორებთან: ეს მეც ძალიან მაძლევს ხელს. დავრჩე სსრ კავშირში, **სადაც ჩვენ არ შეგვიძლია ნორმალურად შევიდეთ საზოგადოების ცხოვრებაში,** თანაც თანასწორუფლებიანი საბჭოთა მოქალაქეების უფლებით, და უარი ვთქვათ ამერიკის ქვეშევრდომობაზე — მე ვერანაირ ამის შესაძლებლობას ვერ ვხედავ. **მე გადავეჩვიე** ამ საზოგადოების ჩვევებს. მიჭირს ვიყო ყურადღების ცენტრში (რაც გარდაუვალია). ვფიქრობ, რომ მთავრობას ჩვენ თავი მოვაბეზრეთ ჩვენი პრობლემებით, თავადაც შვებით ამოისუნთქავს, როდესაც წავალთ...

მე აქ ცხოვრება არ შემიძლია, უნებლიეთ ვუწევ ექსპლუატაციას ბევრი ადამიანის სიყვარულს მამაჩემის ხსოვნისადმი. მე ხომ არა ვარ და არც არასოდეს ვყოფილვარ მისი ერთგული ქალიშვილი... ეს ყველამ იცის. დაუშვებელია აგრეთვე იფიქრო ასეთ განებივრებაზე ჩემს ქალიშვილთან — უცხოელთან დაკავშირებით (ეს ცრუშვილიშვილ ევგენი გოლიშევს შეუძლია, გაუწითლებლად აკრიფოს შემოწირულობანი „ერთგულებისგან“ და ისარგებლოს დაუმსახურებელი ყურადღებით). ჩემგან ყველა ელოდება პოლიტიკურ საქციელს: ყველაფერი კეთდება მხოლოდ მამაჩემისადმი დამოკიდებულების შესაბამისად. ეს მეტად ძნელი ბედისწერაა, უცხოეთში მე ამისგან დავისვენე, ვინაიდან უმრავლესობა გულგრილია ამ პრობლემისადმი. ამიტომ ჩემი ცხოვრება იყო უფრო მარტივი, ნატურალური, ვიდრე აქ, თუმცა, რასაკვირველია, იყო სრულიად სხვა სიძნელეებიც. მაგრამ ჩვენ გვეპყრობოდნენ როგორც უბრალოდ ადამიანებს, აქ კი, სსრ კავშირში — ჩვენ საზოგადოებრივი ინტერესის რაღაც სიმბოლური ობიექტები ვართ...

VI. როდესაც ჰუმანიტარული განათლება მივიღე ისტორიისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში, მე, ბუნებრივია, არ შემიძლია დავრჩე გულგრილი იმისადმი, რაც ჩემს ქვეყანაში ხდება, რომელიც არ მინახავს ჩვიდმეტი წლისა და ექვსი თვის განმავლობაში. გულახდილად ვიტყვი და აღფრთოვანებული არ ვარ იმისგან, რაც დაბრუნების შემდეგ ვნახე. რომ ჩავკეტილიყავი პირადი ცხოვრებით ოჯახში, შვილიშვილებთან და მეურნეობაში, მე, ალბათ, ასე ძლიერ რეაგირებას არ მოვახდენდი გარემოზე. მაგრამ თავის მოტყუებაც არ შეიძლება: ეკონომიკურ **რეფორმებს** ამაოდ ველოდები უკვე 30 წელია. ლენინის სახელს იფიცებენ ყოველ ნაბიჯზე, მაგრამ ლენინური სიმტკიცე არაა. მეორე ნეპი (ახალი ეკონომიკური რეფორმა) უკვე აუცილებელია, დიდი ხანია, რათა გაჯანსაღდეს ეკონომიკა, რათა ქალაქებიდან დავაბრუნოთ უკან მიწისკენ მილიონობით გლეხი, რათა გავაცოცხლოთ ვაჭრობა. არაფერი ორიგინალური ჩემს მსჯელობაში არაა. **ჯერ კიდევ** ნ. ბუხარინი ამბობდა, რომ „კულაკი შეიძლება შეერწყას სოციალიზმს“, ახლა კი ევროპისა და აზიის მაგალითზე ვხედავთ, რომ „სოციალიზმს“ „ერწყმიან“ მეტად წარმატებულად ეკლესიაც, მონარქიაც, და ყველაფერი, რაც გინდა... მხოლოდ არა ჩვენთან. ჩვენ კვლავ ვიტანჯებით **კომკავშირული მემარცხენეობის** „საყმაწვილო სენით“, რომელიც დიდი ხანია დაგმო და გაამასხარავა არა ვინმე სხვამ, არამედ ვ. ი. ლენინმა. ლენინის სახელი რაღაც რიტუალურ სიმბოლოდ იქცა, აი, **საქმით** კი არავინ მიჰყვება მის პრაქტიკულ რჩევებს...



ეს ყოველივე არის არა პოლიტიკა, არა „პროპაგანდა“, არამედ ტკივილი, ტკივილი ჩემი ქვეყნის გამო. უკვე 30 წელია, ვოცნებობ — და განა მხოლოდ მე? — საბჭოთა ქვეყნების ეკონომიკურ გაჯანსაღებაზე (ნუ აჩქარდებით, ბრალი დამდო ანტისაბჭოურობაში). მაგრამ ჯერჯერობით გარდა უკიდურესად გაძლიერებული პარტიული **ბიუროკრატიზმისა,** მე ვერანაირი არსებითი ცვლილება ჩემი ქვეყნის ცხოვრებაში ვერ აღმოვაჩინე. ხალხი გახდა ბოროტი, მათ ეზიზღებათ მშობლები — ეს სულაც არაა მხოლოდ ჩემი პრობლემა! ყველა ახალგაზრდობის უგულობაზე ჩივის. აი, რა აზრები დამეუფლა ჩამოსვლის შემდეგ. **შეხვიდე საზოგადოებაში,** რომელსაც ჩვენ არ ვჭირდებით, — რისთვისაა ეს საჭირო? ვის რაში სჭირდება ეს?

*VII. მე უკვე 60 წლისა ვარ, საპენსიო ასაკის, ამ დროს ახალ ცხოვრებას კი არ იწყებენ, არამედ ამთავრებენ მას. ჩემს უკან ყოველთვის მამაჩემის აჩრდილი დგას, და ხალხი ხშირად ამ აჩრდილს ხედავს, მე კი ვეღარც მამჩნევენ მის უკან. ეს გასაგებიცაა. ი. ბ. სტალინის შესახებ ჯერ კიდევ ბევრი რამ არ უთქვამს პარტიას, ბევრი რამ უცნობია, გამოუკვლეველი. გულუბრყვილოდ მეგონა, რომ იქნებ დავხმარებოდი იმით, რაც მახსოვს და ვიცი. მაგრამ არა, ეტყობა სხვა წყაროები უფრო მეტად აძლევთ ხელს, ვიდრე მე. ესეც შემიძლია გავიგო. ასე იყო ბევრ ისტორიულ პიროვნებებთან და მათს ოჯახებთან დაკავშირებითაც. ი. ბ. სტალინი ჯერ ისევ „აკრძალული თემაა“, რის შესახებაც საუბარი მხოლოდ სკკპ ცენტრალურ კომიტეტს შეუძლია.*

მე და ჩემი ქალიშვილი სსრ კავშირში **ყოველთვის** „აკრძალული თემის“ საზღვრებში ვართ. ეს ძალიან ძნელია. ჩვენ არ შეგვიძლია — არ გვაძლევენ ამის ნებას — ვიცხოვროთ ნორმალურად, მე ეს უკვე გავიგე იმ დროს, რაც ჩვენ აქა ვართ. სული მეხუთება ამის გამო. ჩვენ გვესმის, რომ ეს არის რეალობა და არა ჩვენი ფანტაზია.

იხ. 9 გვ.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოში „ხალხის მტრებს“ გაათავისუფლებენ

**საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა 25 პოლიტიკური დევნილისა და 190 პოლიტპატიმრის სია, რომლებსაც მოუხსნიან ყველა ბრალდებას ან გაათავისუფლებენ წლის ბოლომდე. გადაწყვეტილებამ კიდევ უფრო გაამწვავა კონფლიქტი პრეზიდენტსა და პრემიერს შორის: მიხეილ სააკაშვილის მომხრეებმა ბრალი დასდეს პრემიერ ბიძინა ივანიშვილის მმართველ კოალიციას ქვეყნის დისკრედიტაციაში.**



პოლიტდევნილებისა და პოლიტპატიმრების სია, რომელიც დაამტკიცეს პარლამენტში, შეიცავს პირთა რამდენიმე კატეგორიას, რომლებიც დააპატიმრეს ან რომლებსაც ბრალი ედებათ სხვადასხვა მუხლების მიხედვით. როგორც პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის ხელმძღვანელმა ეკატერინე ბესელიამ განგვიმარტა, „სააკაშვილის რეჟიმი დევნილი პირების წინააღმდეგ არ აყენებდა პოლიტიკურ ბრალდებებს – ყველას ბრალს სდებდნენ სისხლის სამართლის ჩვეულებრივი მუხლებით, ზოგიერთს აპატიმრებდნენ ხულიგნობისთვის, ზოგს უდებდნენ ნარკოტიკებს ან იარაღს“.

სიას ხსნის განყოფილება „პოლიტიკური დევნილები“. მასში შედის 25 კაცი, რომლებიც იძულებული იყვნენ დაეტოვებინათ ქვეყანა, რათა თავიდან აეცილებინათ სისხლის სამართლის დევნა. მათ შორის არიან ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის ყოფილი მფლობელი ქიბარ ხალვაში და პარლამენტის ექსსპიკერის ნინო ბურჯანაძის მეუღლე, სასაზღვრო უწყების ყოფილი ხელმძღვანელი ბადრი ბიწაძე. ამავე დროს სიაში არ არის თავდაცვის ექსმინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი, რომელიც დაბრუნდა ქვეყანაში ოპოზიციაში გადასვლისა და საფრანგეთში გაცქევის შემდეგ. „ივანიშვილის მთავრობისთვის არ არის ხელსაყრელი დატოვოს ოქრუაშვილი სიაში, – განგვიმარტა ერთ-ერთი სააგენტოს ექსპერტმა ნიკა იმნაიშვილმა, – წინააღმდეგ შემთხვევაში, ის უმალვე უნდა გაეთავისუფლებინათ, არადა, იგი ხომ სააკაშვილის დროის რეპრესიების სიმბოლოა“.

„პოლიტდევნილთა“ სიაში არ მოხვდა ასევე სახელმწიფო უშიშროების ყოფილი მინისტრი იგორ გიორგაძე, რომელსაც ბრალი ედება პოლიტიკურ მკვლელობებსა და 1995 წელს პრეზიდენტ შევარდნაძეზე თავდასხმაში. წინა დღით, მოსკოვიდან პირდაპირი ჩართვის დროს, მან ბრალი დასდო სიის ავტორებს ანგაჟირებაში. „არც ერთი განაჩენი ჩემთვის არც ერთ სასამართლო ინსტანციას არ გამოუტანია“, – შეგვახსენა ბატონმა გიორგაძემ.

განყოფილებაში „პოლიტპატიმრები“ შესულია 190 სახელი. მათ შორის არიან პირები, რომლებიც დააპატიმრეს 26 მაისის მოვლენების დროს რუსთაველის პროსპექტზე, როდესაც სპეცნაზმა მკაცრად დაარბია ოპოზიციური სახალხო კრებისა და ექსსპიკერის ნინო ბურჯანაძის მომხრეთა დემონსტრაცია. 30 კაცი დააკავეს სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის ბრალდებით („ყინწვისის საქმე“). სიაში შეტანილი არიან, აგრეთვე, საზოგადოებრივი მოძრაობის „საქართველოს დაცვის“ წევრები, რომლებიც დააპატიმრეს 2011 წელს ხულიგნობის ბრალდებით, და „მუხროვანის ბუნტის“ მონაწილეები – სატანკო ბატალიონის ბუნტი მუხროვანის დასახლებაში 2009 წლის მაისში. მაშინ სატანკო ნაწილის ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა უარი განაცხადეს შეესრულებინათ სარდლობის ბრძანება დედაქალაქში ანტისამთავრობო აქციის დროს.

პოლიტპატიმრებად მიჩნეულია „ენვერის საქმესთან“ დაკავშირებული ყველა 11 პატიმარი, რომლებსაც 2010 წელს ბრალი დასდეს შპიონაჟში რუსეთის სასარგებლოდ (მათ შორის არის რუსეთის ფედერაციის მოქალაქე იური სკრილნიკოვი). პოლიტპატიმართა სიაში მოხვდნენ, აგრეთვე, „საქართველოს პარტიის“, „ქართული ოცნების“, „ქრისტიანულ-დემოკრატიული მოძრაობის“, „სამოქალაქო ფრონტის“ და სხვა პარტიებისა და ორგანიზაციების წევრები, რომლებიც გაასამართლეს 2007-2012 წლებში.

პროპრეზიდენტული პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მკაცრად აკრიტიკებდა მმართველ კოალიციას დადგენილების განხილვის დროს პარლამენტში. „ამ დოკუმენტის მიღება და ჩვეულებრივ დამნაშავეთა პოლიტპატიმრად გამოცხადება უზარმაზარ ზიანს მიაყენებს საქართველოს საერთაშორისო არენაზე“, – განაცხადა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა ჩიორა თაქთაქიშვილმა.

„თუ ვინმეს წარმოუდგენლად ეჩვენება, რომ საქართველოში შეიძლებოდა ყოფილიყო 200 პოლიტპატიმარი, გაეცნონ დოკუმენტებს“, – განაცხადა ჩვენთან საუბარში სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „ყოფილი პატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ ლიდერმა, საბჭოთა ეპოქის დისიდენტმა ნანა კაკაბაძემ.

დადგენილების მიღება ნიშნავს, რომ ყველა პოლიტპატიმარი გათავისუფლდება წლის ბოლომდე – მასშტაბური ამნისტიის ფარგლებში, რომლის დროსაც იგეგმება გაათავისუფლონ რამდენიმე ათასი პატიმარი. ყველა პოლიტიკურ დევნილს კი მოეხსნება ბრალდება და მათ შეუძლიათ დაუბრუნდნენ თავიანთ ოჯახებს.

Коммерсантъ

# რუს პატიმრებს მხოლოდ ამნისტიით გაუღებენ კარს

**ხუთშაბათს თბილისში გამოაცხადეს იმის შესახებ, რომ წინა დღით პოლიტპატიმრების სტატუსის მქონე, საქართველოს ციხეებში მყოფი რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები გათავისუფლდებიან მხოლოდ პარლამენტის მიერ ამნისტიის გამოცხადების შემდეგ. სხვა სამართლებრივი მექანიზმები მათი ოპერატიული გათავისუფლებისთვის, უბრალოდ, არ არსებობს.**

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამ გვაცნობა, რომ ახლა ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო დაიწყებს ამნისტიის შესახებ კანონის განხილვასა და მიღებას. „კომიტეტი უკვე მუშაობს ტექსტზე და ამ დღეებში, პროცედურების თანახმად, იგი წარედგინება პარლამენტს... იმედი მაქვს, რომ განხილვა და დოკუმენტის მიღება დიდ დროს არ მოითხოვს, და ციხეებში პოლიტიკური მოტივებით მყოფი ადამიანები მოიპოვებენ თავისუფლებას“, – განაცხადა ბესელიამ.



190 კაცს შორის, რომლებიც მიჩნეული არიან პოლიტპატიმრებად, დაახლოებით ორი ათეული რუსეთის ფედერაციის მოქალაქეა. როგორც საქართველოს ახალი ხელისუფლება მიიჩნევს, ყველა მათგანი გახდა წინა რეჟიმის პოლიტიკის მსხვერპლი. ისინი მანიაკალური რეგულარობით „აშკარავდებოდნენ“ ჯაშუშობასა და სხვა შეთქმულებაში საქართველოს სახელმწიფოს წინააღმდეგ. ყველაზე გახმაურებული მათ შორის აღწერილია დოკუმენტურ ფილმში „ენვერი“, რომელიც ყოფილი ხელისუფლების პროპაგანდისტებმა გადაიღეს.

ჩვენი გაზეთი უკვე წერდა, რომ ფილმში საუბარია იმის შესახებ, თუ ორმაგმა აგენტმა, რომლებიც დანერგილი იყვნენ რუსეთის ძალოვან სტრუქტურებში, როგორ შეძლო გარკვეულიყო მოსკოვის ხრიკებში და გადაეცათ ინფორმაცია სამშობლოში. საქართველოს სპეცსამსახურებმა კი „გამოიჭირეს“ სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის 15-მდე კაცი. ბევრ მათგანს ჰქონდა რუსეთის პასპორტი. ადვოკატებმა ვერ შეძლეს დაედასტურებინათ მათი დაცვის ქვეშ მყოფთა უდანაშაულობა. ისინი ამბობენ, რომ პრაქტიკული პოზიციებიდან დაცვა აბსოლუტურად უსარგებლო იყო: „ყველა დაკავებული წინასწარ იყო განწირული. ხელისუფლებას სჭირდებოდა პიარი და მან იგი მოიწყო“.

საპარლამენტო უმრავლესობის გადაწყვეტილება – გამოაცხადონ პოლიტიკურად თითქმის 200 პატიმარი, მწყობრიდან გამოიყვანა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის დეპუტატები. ჩიორა თაქთაქიშვილმა განაცხადა, რომ „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილებას აფასებს, როგორც „სასიამოვნო განცხადებას, რომელიც გაეგზავნა მოსკოვს სიგნალის სახით“. „ეს იქნება ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო ეპიზოდი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, და უმრავლესობის წარმომადგენლებს აუცილებლად მოუწევთ იკისრონ ეს პასუხისმგებლობა“, – განაცხადა თაქთაქიშვილმა.

მოლოდინის მიუხედავად, პოლიტპატიმართა სიაში არ აღმოჩნდა თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი, რომელიც ასეთად მიიჩნიეს საფრანგეთში. ის დაბრუნდა სამშობლოში, რათა ახალი ხელისუფლების დროს მიაღწიოს მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებების გაუქმებას, მაგრამ აღმოჩნდა ციხეში. სამაგიეროდ, მისი ახლო მეგობრები – შიდა ქართლის რეგიონის ექსგუბერნატორი მიხეილ ქარელი და ბიზნესმენი ქიბარ ხალვაში მიჩნეული არიან დევნილებად პოლიტიკური მოტივებით. ამავე კამპანიაში მოხვდა ექს-სპიკერ ნინო ბურჯანაძის მეუღლე, სასაზღვრო პოლიციის ყოფილი ხელმძღვანელი ბადრი ბიწაძე, რომელიც უცხოეთში იმალებოდა 2011 წლის 26 მაისის საპროტესტო აქციის დარბევის შემდეგ, როდესაც დაიღუპა რამდენიმე კაცი, მათ შორის პოლიციელიც.

ეტყობა, იმ მოვლენებს უნდა მივაკუთნოთ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, მოეხსნას ჯაშუშობის მუხლი საქართველოს პირველი პრეზიდენტის შვილს ცოტნე გამსახურდიას. თუმცა, მისი საქმის განხილვა გრძელდება. გამსახურდიას ბრალი ედება ასევე თავისი მეზობლისთვის ცეცხლსასროლი იარაღით ჭრილობის მიყენებაში.

მცდელობა – შეეცვალათ სასამართლო ვერდიქტი – ჰქონდა აჭარის ყოფილ ხელმძღვანელს ასლან აბაშიძესაც. ხუთშაბათს ბათუმის სასამართლო, დაცვის მოთხოვნით, დაუბრუნდა საქმის განხილვას აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ნოდარ იმნაძის მკვლელობის, უკანონო შეიარაღებული ფორმირებების შექმნის, ტერორისტული აქტების განხორციელების, სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენების ბრალდებით. ყველა ამ ცოდვებში ბრალი ედებოდა აბაშიძეს და 2007 წლის მარტში მას დაუსწრებლად მიუსაჯეს 15 წლის პატიმრობა და საქართველოს ბიუჯეტში 60 მილიონი დოლარის დაბრუნება.

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

## დედამიწის ზურგზე



**დასავლეთში გმობენ „მაგნიტსკის კანონის“ მიღებას: შეცვალეს „ბერკეტი“ და „მოსკოვს შეუტიეს“**

არსებითად, ორივე მხარის პოზიცია კონგრესში კანონის მიღების შემდეგ არ შეცვლილა: მოსკოვი ადრეც საუბრობდა „ცივი ომის“ შესახებ, ვაშინგტონი – ადამიანის უფლებების შესახებ. ჟურნალისტები ადასტურებენ: კანონპროექტი გახდა განხეთქილების ვაშლი, თუმცა, დაეხმარა ამერიკულ ბიზნესს. ამისთვის ხელშეწყობას ამერიკის შეერთებული შტატები დიდი ხნის წინათაც აპირებდა, მაგრამ ჯექსონ-ვენიკის შესწორებას განზრახ აყოვნებდნენ.

* * *

**ბუენოს-აირესი ჩინური პესტიციდების ღრუბლებმა დაფარა: ხალხს ურჩიეს ჩაიკეტოს სახლებში**



არგენტინის დედაქალაქში ხანძრის გამო გაჩნდა ტოქსიკური ღრუბელი. ბევრი ადამიანი უჩივის გულის რევას, დამპალი ნაგვის სუნსა და სანერწყვე ჯირკვლების გაღიზიანებას. პესტიციდების ღრუბელმა დაარღვია აეროპორტის მუშაობა. ზოგიერთი გზა გადაიკეტა.

* * *

**„ნასას“ ყოფილი თანამშრომლები გვთავაზობენ მთვარეზე გაფრენას „ხელსაყრელ ფასად“ – 1,5 მილიონ დოლარად**



ასეთი თანხა მთვარის ტურისტებმა უნდა გადაიხადონ ორ კაცზე. კომპანიაში, რომელიც აპირებს თანამგზავრის გაშვებას, მიაჩნიათ, რომ, უწინარეს ყოვლისა, მათი წინადადებით დაინტერესდებიან აფრიკული და აზიური ქვეყნები, რომლებსაც სურთ აიმაღლონ თავიანთი პრესტიჟი საერთაშორისო არენაზე და შეუერთდნენ მათს „ელიტურ კლუბს“, ვინც უკვე იყო მთვარეზე. ჯერჯერობით ამ „კლუბში“ ერთი მონაწილეა – ამერიკის შეერთებული შტატები.

* * *

**პლანეტის ყველაზე ღრმა ადგილას აღმოაჩინეს უცნაური ორგანიზმები, რომლებიც, შესაძლოა, ინახავენ სიცოცხლის გაჩენის საიდუმლოებას**

როდესაც შეისწავლეს უნიკალური ვიდეოკადრები და ჰოლივუდელი რეჟისორის ჯეიმს კემერონის მიერ მოპოვებული ნიმუშები მარიანის ღრმულში ჩასვლის დროს, მეცნიერებმა დაინახეს მიკროორგანიზმების „ხალიჩები“, გიგანტური კრევეტისებური არსებები, უზარმაზარი ამებები, უცნაური ჭიები. აგრეთვე, შენიშნეს ქიმიური პროცესები, რომლებმაც მიგვიყვანეს დედამიწის, და შეიძლება, უცხოპლანეტური სიცოცხლის წარმოშობასთან, თანაც მზის სისტემის ფარგლებში.





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# უცნობი სვეტლანა ალილუევა

(მეშვიდე გვერდიდან)

გაგვიშვით იქ, საიდანაც მოვედით, იმ სამყაროში, სადაც ჩვენს გარშემო იყო გაცილებით მეტი ცივი გულგრილობა, სამაგიეროდ **არ ყოფილა** ოფიციალური კონცეფციები „სტალინის შესახებ“, რისთვისაც უნდა შეგვეთანხმებინა ჩვენი ცხოვრება. ჩემი ქალიშვილისთვის განსაკუთრებით საზიანოა, გრძნობდეს თავს „სახელგანთქმულ შვილიშვილად“, მე კი უკვე გადავეჩვიე გადაჭარბებულ ყურადღებას: ეს მე მხოლოდ მტანჯავს და მაღიზიანებს. ყველა დანარჩენი პრივილეგია, აგარაკები, მანქანა, შეკვეთები და ა. შ. — ვილაცამ ხომ შეიძლება იფიქროს, რომ მე მხოლოდ ამისთვის ჩამოვედი აქ! სწორედ ამის გამო მოვიწყინე. გადავეჩვიე, გადავეჩვიე, — და ყველაფერ ამის ხელახლა შეჩვევა არ მინდა, და არც შევეჩვევი.

* * *

**ჩვენ** გთხოვთ მოგვცეთ შესაძლებლობა შევხვდეთ ამერიკის შეერთებული შტატების კონსულს ან ელჩს მოსკოვში, რათა განვიხილოთ ჩვენი გაუქმებული ამერიკის მოქალაქეობა და მშვიდად, არავის რომ არ მივაყენოთ შეურაცხყოფა, არ მოვახდინოთ არანაირი კონფლიქტის პროვოცირება, გადავწყვიტოთ სსრ კავშირიდან ჩვენი გამგზავრების დეტალები. ნებისმიერი საკითხი შეიძლება გადავწყვიტო **მშვიდი დემოკრატიის გზით,** რეპორტიორების, სენსაციებისა და არასაჭირო ურთიერთობების გარეშე. **იმის გამო,** რომ ორმაგ მოქალაქეობას არ აღიარებს სსრ კავშირის კანონი, **გთხოვთ, გამოგვიყვანოთ სსრ კავშირის მოქალაქეობიდან.** ჩვენი განცხადება გაიგზავნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

სსრ კავშირში ცხოვრებას წარმატებულად და ბედნიერად ჩვენ, სულ ერთია, ვერ შევძლებთ. იქნება გაუთავებელი პრობლემები და სირთულეები. წავიდეს ჩემი ქალიშვილი მარტო, მე კი ვიჯდე აქ — უაზრობაა, ეს დაშორება იქნება ძალიან ღრმა. გაჩნდება კიდევ კომუნიკაციების პრობლემები...

საკითხი **სსრ კავშირიდან წასულის შესახებ** მე **უკვე დავაყენე** მ. ს. გორბაჩოვისადმი მიწერილ წერილში, რომელიც 1985 წლის დეკემბრის ბოლოს გაიგზავნა. ამ წერილთან დაკავშირებით მე შემხვდა ი. პ. აბრამოვი, რომელიც დაუნდობლად ცდილობდა, **დავერწმუნებინე** ყველაფერში, ყველა საკითხში, რომ უარი მეთქვა განზრახვაზე. მე კვლავ ვაყენებ საკითხს გამგზავრების შესახებ — ვინაიდან ეს არის ერთადერთი რადიკალური და სწორი გამოსავალი ჩიხიდან, რომელშიც ჩვენ ყველა აღმოვჩნდით. ჩვენს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან დავას მე არ დავიწყებ (ჩვენ უკვე ვიდავეთ), ამიტომ მივმართავ მთავრობას, კიდევ უფრო მტკიცედ დარწმუნებული საკუთარ პოზიციაში.

**დაბეჯითებით გთხოვთ,** დამეხმაროთ, აღმოვფხვრა ჩემი საკუთარი საბედისწერო **შეცდომა,** და წყნარად, მშვიდად გავემგზავრო კანონიერ, ლეგალურ საფუძველზე. დღევანდელ ცივილიზებულ მსოფლიოში სხვა ქვეყანაში ცხოვრების საკითხი უკვე დიდი ხანია არ ითვლება არც „ღალატად“, არც გაქცევად. ხალხი ცხოვრობს იქ, სადაც მისთვის უკეთესია და უფრო მშვიდი — განსაკუთრებით მოხუცებულობის დროს.

მე და ჩემი ქალიშვილი ბოდიშს გიხდით ყველა იმ შეწუხებისთვის, რაც მოგაყენეთ.

**პატივისცემით**
**ს. ი. ალილუევა**



# „გთხოვთ, დამკრძალოთ მცხეთაში ან გორში, ქალაქის სასაფლაოზე“...

**სვეტლანა იოსების ასულ ალილუევასაგან.**
**დაბ. 1926 წ.**
**პერსონალური პენსიონერი.**
**მცხ. თბილისში, ჭავჭავაძის პრ. №75. ბ. 5**
**ტელ: 22-58-60**

**მკურნალ ექიმსა და დაწესებულებას სსრ კავშირის სახბანკის საქართველოს რესპულიკურ განყოფილებას**

**საანდერძო განკარგულება**

**ამ ცოტა ხნის წინათ გამოვლენილი გულის სპაზმისგან ვადამდელი გარდაცვალების შესაძლებლობის გამო საჭიროდ მიმაჩნია, გავაკეთო ქვემოთ მოყვანილი საანდერძო განკარგულება:**

1. გთხოვთ დამკრძალოთ ქ. **მცხეთაში** (ან **ქ. გორში** — იმის მიხედვით, რომელი უფრო მეტად აძლევს ხელს ადგილობრივ ხელისუფლებას), ქალაქის სასაფლაოზე, რომელიც მთაზეა (ორივე ამ ქალაქში). მოსკოვიდან ჩემი ნათესავების შესაძლო სარჩელზე ჩემი ცხედრის დაკრძალვის შესახებ ქ. მოსკოვში — გთხოვთ უთხრათ უარი.

იმის გამო, რომ 1962 წლის მაისიდან მე ვეკუთვნი მართლმადიდებელ ეკლესიას, გთხოვთ, რომ დატირება და პანაშვიდი იყოს **ქართული (არა რუსული) წეს-ჩვეულების** შესაბამისად — ესე იგი იმ მართლმადიდებელი ეკლესიის წეს-ჩვეულებების მიხედვით, რომელსაც მიეკუთვნებოდნენ ჩემი ქართველი წინაპრები. საფლავზე გთხოვთ, გამიკეთოთ ჯვარი (და არა „ძეგლი“), რომელზეც აღნიშნულია მხოლოდ სახელი და ცხოვრების თარიღი.

2. მთელ ჩემს პირად ქონებას, რომელიც არის ჭავჭავაძის პროსპექტზე, ბინა №5-ში, სახლი 75, აგრეთვე მანგლისის აგარაკზე, ვუტოვებ ჩემს ქალიშვილს ოლღა პიტერსს დაბ. 1971 წ.

3. არსებულ ანაბარს №070166 („ბ“ ტიპის) სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ განყოფილებაში (კიროვის ქ. №3), რომელიც გაკეთებულია ჩემს სახელზე, ვუტოვებ ჩემს ქალიშვილს ოლღა პიტერსს.

4. არსებულ ანაბარს №7706055 („ბ“ ტიპის) **სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის ბანკში** ქ. მოსკოვში, რომელიც გაკეთებულია ჩემს სახელზე, ვუტოვებ ჩემ ქალიშვილს ოლღა პიტერსს, დაბ. 1971 წ.

5. ქ. თბილისში ორჯონიკიძის რაიონის შემნახველ სალაროში №0213 ჩემს სახელზე არსებულ ანაბარს ვუტოვებ ჩემს ქალიშვილს ოლღა პიტერსს.

6. ამ ანდერძის 2, 3, 4, 5 პუნქტებთან დაკავშირებით ჩემი უფროსი სრულწლოვანი შვილების (ან ჩემი შვილიშვილების) შესაძლო სარჩელზე — **გთხოვთ,** უთხრათ უარი. ოლღა პიტერსს თავისი თანხმობით შეუძლია გაუყოს ქონება ჩემს ძმისწულებს ალექსანდრ ვასილის ძე ბურდონსკის, რომელიც ცხოვრობს მოსკოვში, გორკის ქ. №4-ში, ბ. 87, ტელ: 292-68-95, — **მხოლოდ მას**.

7. იმასთან დაკავშირებით, რომ ოლღა პიტერსის საქმეს, რომელიც პანსიონში სწავლის გასაგრძელებლად მიემგზავრება ინგლისში, ამჟამად აწარმოებს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრო (ამხ. მაკაროვი, ტელ: 244-72-13 და ამხ. ფოკინი, ტელ: 244-40-65, მოსკოვში). გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ოლღა პიტერსი — ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბადებული და სსრ კავშირის მოქალაქე — ჩემი გარდაცვალების შემთხვევაში ამ ანდერძს უნდა გაეცნოს ზემოაღნიშნული პირების მეშვეობით. ანდერძს ასევე უნდა გაეცნონ ოლღა პიტერსის ნათესავები, რომლებიც იმყოფებიან ამერიკის შეერთებულ შტატებში.

აღნიშნულს ვურთავ ხელმოწერას:

**ს. ალილუევა**
**1986 წლის 27 მარტი.**

* * *

**აქ წერილის ავტორი ნაბეჭდ ტექსტს ურთავს ხელნაწერს:**

გაუთვალისწინებელი უბედურებების — საავიაციო, საავტომობილო ან სარკინიგზო და ა. შ. კატასტროფის — შემთხვევაში სადაც ვიღუპებით ჩვენ ორივე — ჩემი ქალიშვილი და მე, — ყველა ზემოაღნიშნულ ქონებასა და ყველა სარგებელს ვუტოვებ ჩემს ძმისწულს ალექსანდრ ვასილის ძე ბურდონსკის თავის ოჯახთან ერთად. ასეთ შემთხვევაში ჩემი შვილებისა და შვილიშვილების სარჩელს გთხოვთ, **უთხრათ** უარი.

რასაც ხელს ვაწერ

**ს. ალილუევა**
**1986 წლის 27 მარტი.**
**თბილისი.**

მკვლელობა

# როინ შავაძის საქმე პროკურატურამ თაროდან ჩამოიღო

(მეოთხე გვერდიდან)

ამ ვერსიას ისიც აძლიერებს, რომ მკვლელობის შემდეგ შავაძეებზე ტერორი ხორციელდებოდა, ჯარისკაცის ოჯახისგან და ნათესავებისგან გაჩუმებას ითხოვდნენ. რომ არა საფრანგეთის იმჟამინდელი ელჩის ერიკ ფურნიეს, ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის თომას ჰამარბერგის, იმჟამინდელი სახალხო დამცველის სოზარ სუბარის, ბათუმში მისი წარმომადგენლების - გიორგი ჩარკვიანის და ლადო მგალობლიშვილის, პარლამენტარ გიორგი თარგამაძის, გარკვეული პოლიტიკური პარტიების, მედიასაშუალებების და ადვოკატ რამინ პაპიძის (ერთადერთი ადვოკატი, ვინც შავაძეებს გვერდით დაუდგა) აქტიურობა, ძნელი სათქმელია სიტყვიერი მუქარა რაში შეიძლებოდა გადაზრდილიყო.

**გვესაუბრება ადვოკატი რამინ პაპიძე.**

**— თქვენი მიმართვის საფუძველზე განაახლეს საქმის ძიება, თუ პროკურატურიდან თავად დაგიკავშირდნენ?**

— გამოძიება შეჩერებული და შეწყვეტილი არასდროს ყოფილა. უბრალოდ, საგამოძიებო მოქმედებები არ ხორციელდებოდა და შავაძის საქმე თაროზე შემოდებული იყო. ახლა გამოძიება გააქტიურდა.

**— კონკრეტულად რა საგამოძიებო მოქმედებებს ატარებს, რა მიმართულებით გააქტიურდა გამოძიება?**

— საგამოძიებო მოქმედებები გააქტიურებულია, მაგრამ კონკრეტულად რაში გამოიხატება, ამაზე ღიად ვერ ვისაუბრებ, რადგან გარკვეული დეტალების გასაჯაროებით გამოძიებას ხელი შეეშლება და ამით ჩვენი ინტერესი დაზიანდება, რაც დამნაშავეების დასჯაში მდგომარეობს.

**— გამოძიება ისევ ორი მუხლით მიმდინარეობს?**

— დიახ, გამოძიება ორი მუხლით მიმდინარეობს. მოწმეთა ჩვენებებს გავეცანი. დაკითხულები არიან კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლები: ზვიად ნურიძე, თემურ მგელაძე, ომარ ჭარალიძე, ზვიად ზაქარაძე, მამუკა ბერიძე, გიორგი არაბული, გელა ღვიანიძე, მირზა კონცელიძე, ლაშა ინაიშვილი.

ისინი როინ შავაძის მკვლელობას ფაქტიურად აღიარებენ, თუმცა, თავს დამნაშავედ არ გრძნობენ — ბათუმიდან თბილისის მიმართულებით ბადრაგირებას ვახდენდით, გურია-აჭარის ადმინისტრაციულ საზღვარზე როინ შავაძის დაჟინებული მოთხოვნით (ბიოლოგიური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად) მანქანა შევაჩერეთ. ამ დროს ხელბორკილი რომ ავხსენით (ამას მირზა კონცელიძე ამბობს), „მაკაროვის“ ტიპის ცეცხლსასროლი პისტოლეტი გამოგვტაცა, სროლა და გაქცევა დააპირა და ამ დროს მოხდა მისი ლიკვიდაციაო.

**— დაკითხულია თუ არა კუდის თანამშრომელი გიორგი ჩიქოვანი, მეტსახელად მაიმუნა, რომელმაც მკვლელობამდე რამდენიმე საათით ადრე შავაძე სახლიდან გაიყვანა?**

— გიორგი ჩიქოვანი მოწმის სტატუსითაა დაკითხული. თუმცა, ის ამ საქმესთან კავშირს უარყოფს. აღიარებს რომ მან როინ შავაძეს სახლში მიაკითხა, მაგრამ ამბობს, მეგობარი იყო და მეგობრულად მივაკითხე, მე არსად წამიყვანიაო.

**— ისევ კუდში მუშაობენ თქვენს მიერ ჩამოთვლილი ადამიანები?**

— დიახ, ეს ადამიანები, სპეცდანიშნულების რაზმის თანამშრომლები იმავე სამსახურში არიან. თუმცა, მათ გარდა შავაძის მკვლელობის საქმეში სხვებიც ფიგურირებენ.

**— შავაძის საქმეს ის პროკურორი იძიებს, ვინც აქამდე იყო?**

— 2011 წლის მარტში ეს საქმე ალექსანდრე ფუტკარაძეს დაეწერა. იგი ამბობს, რომ ნება არ იყო, თორემ ეს საქმე წინა ხელისუფლების დროსაც გაიხსნებოდა. შინაგანად დარწმუნებული ვარ, რომ იგი ძალიან მოწადინებული და მონდომებულია, რომ როინ შავაძის მკვლელობის საქმე გახსნას.

**— ცნეს თუ არა ჯარისკაცის ქვრივი ციცინო შავაძე დაზარალებულის უფლებამონაცვლედ?**

— ამ საკითხთან დაკავშირებით პროკურატურას 2008 წლიდან მოყოლებული არაერთხელ მივმართეთ. ჩემი აზრით, უახლოეს პერიოდში, გარკვეული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შემდეგ, ეს საკითხი დადებითად გადაწყდება.

**— გამოეხმაურნენ თუ არა თქვენს მოწოდებას კუდის თანამშრომლები?**

— 29 ნოემბერს გამართულ ბრიფინგზე კუდის ზემოხსენებულ თანამშრომლებს მივმართე და გამოძიებასთან თანამშრომლობისკენ მოვუწოდე. ის მიზეზი, რითაც როინ შავაძის მკვლელობაში მონაწილეობას ხსნიან, არადამაჯერებელია. მათ მოვუწოდე, ხელი შეეწყოთ გამოძიებისთვის, რათა დადგინდეს ვისგან იღებდნენ დავალებებს, ვინ იყო შავაძის მკვლელობის დამკვეთი.

ჩემს ამ მიმართვას ამ წუთამდე არავინ გამოხმაურებია.

**ნინო მიქიაშვილი**

ინფორმაცია

## შეწყალებულია 92 პატიმარი

**ამის შესახებ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე პრეზიდენტის პრესსპიკერმა მანანა მანჯგალაძემ განაცხადა.**

**მისივე განმარტებით, პრეზიდენტმა იმ მსჯავრდებულთა შეწყალების აქტი გამოსცა, რომლის გათავისუფლების რეკომენდაციითაც ქვეყნის პირველი პირის ადმინისტრაციას რამდენიმე დღის წინ სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრმა სოზარ სუბარმა მიმართა. — საქმე ეხება მსჯავრდებულთა იმ ჯგუფს, რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმე, ან უკიდურესად მძიმეა. თავიდან 137 მსჯავრდებულზე იყო საუბარი, თუმცა პრეზიდენტის ადმინისტრაციაში სასჯელაღსრულების სამინისტროდან დოკუმენტაცია 92 პატიმარზე შემოვიდა. პრეზიდენტმა ყველა მათგანის შეწყალების თაობაზე გამოსცა აქტი, — აღნიშნა მანანა მანჯგალაძემ. მისივე ინფორმაციით, აღნიშნული პატიმრები საპყრობილეებს დღის განმავლობაში დატოვებენ.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ ახალი სახე

# დინასტია გრძელდება



**საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციას უმცროსი ალექსანდრე მეტრეველის სახით ახალი პრეზიდენტი ჰყავს.**

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში გამართულ საანგარიშო-საარჩევნო ყრილობაზე მან ხმის უფლების მქონე 60 დელეგატიდან 33-ის მხარდაჭერა მოიპოვა, აწ უკვე ყოფილმა ხელმძღვანელმა ლეილა მესხმა კი — მხოლოდ 22 (2 ბიულეტენი ბათილად ცნეს, 3 დელეგატი არ გამოცხადდა).

ასე რომ, ქართულ ჩოგბურთში მესხის შემდეგ მეტრეველის ერა დაიწყო (მართლაც, როგორი საამო მოსასმენია, არა?), რომელიც თავისი გუნდის წევრებს უახლოეს პერიოდში წარმოგვიდგენს.

**მანუჩარ გორგოძე**

◎ ნდობა

# დიდი პატივი – თბილისს




**უეფას აღმასკომის სხდომაზე გადაწყდა, რომ დარბაზბურთში უეფას თასის გათამაშების ოთხთა ფინალს გაისად, სავარაუდოდ აპრილში, საქართველოს დედაქალაქი უმასპინძლებს.**

შეგახსენებთ, რომ დასკვნით რაუნდში თამაშის უფლება თბილისის „იბერია სტართან" ერთად კატალონიის „ბარსელონამ", ალმათის „ქაირათმა" და მოსკოვის „დინამომ" მოიპოვეს.

თუ გავითვალისწინებთ ქართულ-რუსულ დიპლომატიურ ურთიერთობებში გაჭიანურებულ კრიზისს, საინტერესოა, ამჯერად როგორ მოხერხდება მეზობელი ქვეყნების უძლიერესი კლუბების ერთად ასპარეზობა — წინა ეტაპებზე ხომ უეფა მათ შორის დისტანცირებას ახდენდა.

**გიორგი შოთაძე**

◎ რეფორმა

# ეს მართლაც რევოლუციაა

**უეფას პრეზიდენტის მიშელ პლატინის იდეა რეალობად იქცა — „ევრო — 2020"-ს ერთბაშად რამდენიმე ქვეყანა მიიღებს.**

მათი ზუსტი რაოდენობა ჯერჯერობით დადგენილი არაა და, სავარაუდოდ, გაისად მარტში გახდება ცნობილი. სწორედ ამის შემდეგ დაიწყება ტურნირის მასპინძლობისთვის განაცხადების მიღება.




უეფას გენერალური მდივნის ჯანი ინფანტინოს თქმით, თუ კონტინენტის პირველობის ორგანიზატორობა 10-12 სახელმწიფოს დაეკისრება, ამ შემთხვევაში მათი ეროვნული ნაკრებები ავტომატურად ველარ მოხვდებიან ფინალურ რაუნდში და, სხვათა მსგავსად, შესარჩევ ეტაპს გაივლიან.

**პლატონ გიორგაძე**

◎ ელიტა

# ასეთი პრიზიც არსებობს

**როგორც მოგეხსენებათ, იბერო-ამერიკულად ევროპისა და ლათინური ამერიკის იმ ქვეყნებს მოიხსენიებენ, სადაც სახელმწიფო ენის სტატუსი ან ესპანურს აქვს მინიჭებული, ან პორტუგალიურს.**



და აი, მადრიდის სამეფო სასახლეში გამართულ მიღებაზე დედოფალმა სოფიამ წლის საუკეთესო იბერო-ამერიკელი სპორტსმენისთვის განკუთვნილი პრიზი „რეალის" პორტუგალიელ „ყოჩს" კრიშტიანუ რონალდუს გადასცა.

საზეიმო ღონისძიების დასასრულს, რომელსაც „სამეფო კლუბის" თავკაცები ფლორენტინო პერესი და ემილიო ბუტრაგენიო ესწრებოდნენ, ლაურეატმა ეს აღიარება გუნდის გულშემატკივრებს მიუძღვნა და მადლობა პარტნიორებსაც გადაუხადა.

**როსტომ რაჭველიშვილი**

◎ კალათბურთი

# „მანუს" რეალური პორტრეტი

**ასეთი მონაგარით ყველა იამაყებს — მადრიდის „რეალთან" გამართულ ევროლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლოსწინა შეხვედრაში მანუჩარ მარკოიშვილი პარტნიორებს 34 წუთში მოგროვებული 23 (!) ქულით, 6 მოხსნით, 3 დაფარებითა და 5 შედეგიანი გადაცემით შეეწია, ეს კი, თავადაც კარგად მიხვდებით, იტალიელთა საერთო ქულაბის თითქმის მესამედია — 76:70.**




შეგახსენებთ, რომ „სამეფო კლუბი" „ა" ჯგუფის ლიდერია, ასე რომ, ქართველი ლეგიონერის მიერ „კანტუს" მაისურით დადგმული სპექტაკლი დამატებით ღირსებებს იძენს.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით იგივეს ვერ ვიტყვით თელ-ავივის „მაკაბის" ახალგამოჯანმრთელებული ცენტრის გიორგი შერმადინის შესახებ, რომელიც პოლონეთში „პროკომთან" მოგებულ მატჩში — 89:73 თითო ქულით, მოხსნითა და დაფარებით დაკმაყოფილდა (4,5 წუთში). ვიმედოვნებთ, იგი მალე დაიბრუნებს ჩვეულ კონდიციებს და პლეიოფებამდე გუნდის ერთ-ერთი ლიდერი გახდება.

**გაუწყებთ IX ტურის კიდევ რამდენიმე შედეგს:** „ალბა" — „უნიკახა" 63:74, „ცედევიტა" — „ოლიმპიაკოსი" 62:84, ცსკა — „ბეშიქთაში" 87:72, „პარტიზანი" — „ბარსელონა" 67:68 (დამატებით დროში).

* * *

**ნბას რეგულარული სეზონის XV ტური.** „ატლანტა" — „დენვერი" 108:104. **ზაზა ფაჩულია** — 11 ქულა, 7 მოხსნა, 2 პასი და 1 დაფარება (23 წუთში). ჯორჯიელები 10 მოგებით აღმოსავლეთ კონფერენციაში III ადგილზე არიან და დღეს „ვაშინგტონს" უმასპინძლებენ.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◎ ფეხბურთი

# ევროპის ლიგა გაიცხრილა

**დასრულდა ევროპის ლიგის ჯგუფური რაუნდი. შეგახსენებთ, რომ გაზაფხულიდან პრესტიჟული ჯილდოსათვის ბრძოლას თითოეული კვარტეტიდან 2-2 საუკეთესო კლუბი განაგრძობს. გაუწყებთ დასკვნითი ტურის შეხვედრათა შედეგებს და საბოლოო სატურნირო მდგომარეობას.**



**„ა" ჯგუფი.** „უდინეზე" — „ლივერპული" 0:1, „იანგ ბოიზი" — „ანჟი" 3:1.

„ლივერპული", „ანჟი", „იანგ ბოიზი" — 10-10, „უდინეზე" — 4 ქულა.

**„ბ" ჯგუფი.** „პლზენი" — „ატლეტიკო" 1:0, „ჰაპოელი" — „აკადემიკა" 2:0.

„პლზენი" — 13, „ატლეტიკო" — 12, „აკადემია" — 5, „ჰაპოელი" — 4 ქულა.

**„გ" ჯგუფი.** „ფენერბახჩე" — „გლადბახი" 0:3, აელ — „მარსელი" 3:0.

„ფენერბახჩე" — 13, „გლადბახი" — 11, „მარსელი" — 5, აელ — 4 ქულა.

**„დ" ჯგუფი.** „ბორდო" — „ნიუკასლი" 2:0, „მარიტიმუ" — „ბრიუგე" 2:1.

„ბორდო" — 13, „ნიუკასლი" — 9, „მარიტიმუ" — 6, „ბრიუგე" — 4 ქულა.

**„ე" ჯგუფი.** „შტუტგარტი" — „მიოლდე" 0:1, „კოპენჰაგენი" — „სტიაუა" 1:1.

„სტიაუა" — 11, „შტუტგარტი", „ კოპენჰაგენი" — 8-8, „მიოლდე" — 6 ქულა.

**„ვ" ჯგუფი.** „დნიპრო" — აეკ 4:0, „ნაპოლი" — „ეინდჰოვენი" 1:3.

„დნიპრო" — 15, „ნაპოლი" — 9, „ეინდჰოვენი" — 7, აეკ — 4 ქულა.

**„ზ" ჯგუფი.** „გენკი" — „ბაზელი" 0:0, „სპორტინგი" — „ვიდეოტონი" (გადაიდო).

„გენკი" — 12, „ბაზელი" — 9, „ვიდეოტონი" — 6, „სპორტინგი" — 2 ქულა.

**„თ" ჯგუფი.** „ინტერი" — „ნეფთჩი" 2:2, „პარტიზანი" — „რუბინი" 1:1.

„რუბინი" — 14, „ინტერი" — 11, „ნეფთჩი", „პარტიზანი" — 3-3 ქულა.

**„ი" ჯგუფი.** „ბილბაო" — „სპარტა" 0:0, „ლიონი" — „ირონი" 2:0.

„ლიონი" — 16, „სპარტა" — 9, „ბილბაო" — 5, „ირონი" — 2 ქულა.

**„კ" ჯგუფი.** „ტოტენჰემი" — „პანათინაიკოსი" 3:1, „მარიბორი" — „ლაციო" 1:4.

„ლაციო" — 12, „ტოტენჰემი" — 10, „პანათინაიკოსი" — 5, „მარიბორი" — 4 ქულა.

**„ლ" ჯგუფი.** „ლევერკუზენი" — „რუსენბორგი" 1:0, „რაპიდი" — „მეტალურგი" 1:0.

„მეტალურგი", „ლევერკუზენი" — 13-13, „რუსენბორგი" — 6, „რაპიდი" — 3 ქულა.

**„მ" ჯგუფი.** „ლევანტე" — „ჰანოვერი" 2:2, „ტვენტე" — „ჰელსინგბორგი" 1:3.

„ჰანოვერი" — 12, „ლევანტე" — 11, „ჰელსინგბორგი", „ტვენტე" — 4-4 ქულა.

**გია მაჩაიძე**





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**ეს ხალხის მოთხოვნაა!**

# ჯარიმებზე განაკვეთები უნდა შემცირდეს!

**ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა უკვე დაიწყო მეწარმეების შემოწმება. შესაბამისად, დაჯარიმების ფაქტებმაც იმატა. მეწარმეები კონტროლის მექანიზმს არ აპროტესტებენ, მაგრამ უაზროდ მაღალი ჯარიმების შემცირებას კი ნამდვილად ითხოვენ. ფინანსთა მინისტრი გარკვეულწილად იზიარებს ბიზნესის შენიშვნებს და პირობას იძლევა, რომ უახლოეს მომავალში ჯარიმების განაკვეთს გადახედავს. მანამდე კი მეწარმეებმა ასი ყური და თვალი უნდა გამოიბან, რადგანაც ქვეყანაში ჯერჯერობით კვლავაც მაღალი ჯარიმები მოქმედებს.**

შემოსავლების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის ხატია მოისწრაფიშვილის თქმით, 3 დეკემბრიდან განახლებული საკონტროლო შესყიდვები სალარო აპარატების გამოყენების წესების დაცვის გასაკონტროლებლად გამოიყენება.

„საგადასახადო ორგანოს უფლება აქვს, მოსამართლის ბრძანების გარეშე განახორციელოს საკონტროლო სალარო აპარატის გამოყენების წესების დაცვის კონტროლი. საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია, საგადასახადო სამართალდარღვევის ფაქტის დაფიქსირებამდე არ გაამჟღავნოს თავისი სამსახურებრივი მიზანი, გამოვიდეს ფსევდომომხმარებლის როლში და მოახდინოს დაკვირვება მოლარის მიერ ფულის მიღებისას სალარო აპარატის გამოყენების და ქვითრის (ჩეკის) მომხმარებელზე გაცემის პროცედურაზე.

იმ შემთხვევაში, თუ დაფიქსირდა საკონტროლო სალარო აპარატის გამოუყენებლობის ან მომხმარებელზე ამობეჭდილი ქვითრის წარუდგენლობის ფაქტი, საგადასახადო ორგანოს უფლებამოსილი პირი ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეადგინოს შესაბამისი სამართალდარღვევის ოქმი. აღნიშნული პროცედურა შეიძლება ჩატარდეს ერთსა და იმავე ობიექტში სისტემატურად“, — აცხადებს მოისწრაფიშვილი.

მეწარმეთა უმრავლესობას კონტროლის გამკაცრებასთან დაკავშირებით კითხვები მაინც და მაინც არ აქვს, მაგრამ მაღალ ჯარიმებთან დაკავშირებით ფინანსთა სამინისტროს არაერთხელ შესჩივლეს. სხვათა შორის, მათ პოზიციას ეთანხმება თავად მინისტრიც. ნოდარ ხადურის განცხადებით, დღეს მოქმედი ჯარიმები არაადეკვატურად მაღალია და ამ დროისთვის მათ შემცირებაზე მსჯელობა მიმდინარეობს. შესაბამისი ცვლილება კანონში აუცილებლად შევა.

ფინანსთა მინისტრის განმარტებით, საგადასახადო გაცილებით ლოიალური გახდება და შემოსავლების სამსახურის სერვისების საფასურიც შემცირდება.

საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას სალარო აპარატის გარეშე მუშაობა, საკონტროლო სალარო აპარატის გამოუყენებლობა, ან ქვითარში გადახდილზე ნაკლები თანხის ჩვენება იწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. ფინანსთა მინისტრი კი ამბობს, რომ სამომავლოდ პირველი კანონდარღვევა 200 ლარით დაჯარიმდება.

მეწარმეებამდე კი ჯარიმებისა და საურავებისგან უბრალო მოქალაქეები გათავისუფლდნენ. საუბარია „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ კანონის საფუძველზე წინასაარჩევნო პერიოდში დაჯარიმებულ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებზე.

უკვე გადაწყვეტილია, რომ სახდელისაგან გათავისუფლება როგორც აღუსრულებელ, ასევე აღსრულებულ ნაწილსაც ეხება. ეს იმას ნიშნავს, რომ პირებს, რომელთა მიმართ ფინანსური სანქციები უკვე გამოიყენეს, ჯარიმა-საურავის სახით გადახდილი თანხები ბიუჯეტიდან უკან დაუბრუნდებათ. ასევე უქმდება მათ მიმართ განხორციელებული ყველა იძულებითი სახის ღონისძიება: ყადაღა, ინკასო და ა.შ.

ცვლილებას „ადმინისტრაციული სახდელისაგან გათავისუფლების შესახებ“ კანონპროექტი ითვალისწინებს, რომელთა ავტორებიც არიან: საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენლები ზაქარია ქუცნაშვილი, ირაკლი ჩიქოვანი, გიგლა აგულაშვილი და ასევე ნაციონალი დეპუტატი ჩიორა თაქთაქიშვილი.

2012 წლის პირველ ოქტომბრამდე „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების“ შესახებ კანონით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო თანხა 144 316 688 ლარს შეადგენს. აღნიშნული თანხიდან აღსრულების პროცესშია საქმეები 133 790 769 ლარზე. სახელმწიფომ კი ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს ბიუჯეტიდან, უკან, ჯარიმა-საურავის სახით გადახდილი 10 525 919 ლარი უნდა დაუბრუნოს.

**ეკა ბაქრაძე**

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს ცნობილ ჟურნალისტს ია ბაგრატიონ-მუხრანელს მეუღლის, ფეხბურთში საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის, დიდებული პიროვნების

**ნიკოლოზ (ნიკა) ამირეჯიბის**

გარდაცვალების გამო.



მეუღლე ასმათ შიხაშვილი, შვილები თამაზ, კახა ჩხობაძეები, რძალი ნინო ტყავაშვილი, შვილიშვილები ნიკა (თამაზ), დავითი, ეკა, ცოლისდა ქეთინო შიხაშვილი, ქვისლი დავით შავგულიძე შვილებით, დეიდაშვილები, ბიძაშვილები, მამიდაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**თამაზ (მირიან) ჩხობაძე**

პანაშვიდი 7, 8 XII, 16 სთ. გამოსვენება 9 XII, 14 სთ. მისამართი: კუტუზოვის №12.

ენძელა, დარეჯან, დალი, პეტრე ბერაიები შვილებით ეკა, ნინო, თამრიკო, თეა, ნანა, ქეთინო, შალვა, სიძეებით გოჩა ლორთქიფანიძე, ზაზა პეტრიაშვილი მწუხარებას გამოთქვამენ უახლოესი ნათესავის

**თამაზ ჩხობაძის**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

**„შტუდირება“**

# ამერიკის ჩემეული „აღმოჩენა“

**„საბჭოთა ეპოქის საუკეთესო უნიჭიერეს პოეტს“ (ი. სტალინი) ვლადიმერ მაიკოვსკის, не то რუსს, не то ქართველს, ეკუთვნის აშშ-ში მოგზაურობის შთაბეჭდილებებზე დაწერილი სტატია „Мое открытие Америки“. იმისგან ვისესხე სათაური...**

კაი ხანია და დიდი ხანია, რაც ჩვენს პრესასა და მეტყველებაში — ტელე იქნება, რადიო თუ უბრალოდ, „სამოქალაქო“ ლაპარაკი, დამკვიდრებულია ერთი უსწორობა, გნებავთ, სიმცდარე თუ გადაცდომა: იქ, სადაც დასაწერია ან სათქმელია „ამერიკის შეერთებული შტატების“ (მთავრობა, სახელმწიფო დეპარტამენტი, პრეზიდენტი, სახელმწიფო მდივანი, საგარეო პოლიტიკა, დახმარება, საჰაერო ძალები, მეშვიდე ფლოტი და ასე შემდეგ), — ეს სამი სიტყვა ერთ სიტყვად იკვეცება და წერენ და ამბობენ „ამერიკის“. ეს შეცდომა, ვიმეორებ, ათეულობით წელი გრძელდება, მაგრამ ფესვგამდგარია და მგონი, საბჭოურ ხანაში და ახლაც რუსებსაც მოსდიოდათ და მოსდით.



ჩემგან გახსენება ან „კარნახი“ ვის რაში სჭირდება ან რა გეოგრაფოსი მე ვარ, მაგრამ იმდენი კი ვიცი, რომ ამერიკა ვეებერთელა თვალუწვდენელი კონტინენტია (ან ორი კონტინენტი), ქრისტეფორე კოლუმბმა აღმოაჩინა და ამერიგო ვესპუჩიმ აღწერა (ისტორიული უსამართლობა კი იყო, რომ კონტინენტის აღმწერის სახელი შეერქვა და არა აღმომჩენისა — მისთვის ოდენ „კოლუმბია“ გაიმეტეს...); და რომ იქ ბევრზე ბევრი ქვეყანა-სახელმწიფოა განლაგებული და ყველა „ამერიკაა“; ჰოდა, ჩვენ ვამბობთ (ან ვწერთ) „ამერიკა“ და ოდენ ვგულისხმობთ „აშშ“ — ეს შეურაცხმყოფელი, დამამცირებელი არ არის ამ კონტინენტის ამდენი ქვეყნისათვის? აშშ ხომ ისედაც მსოფლიო ლიდერობას ჩემულობს, გადაგებულია „პირველქვეყნობაზე“, ყველგან საკუთარ ინტერესებს ჩხრეკს და კიდევ ამგვარი „კონტინენტური“ სახელობითი უპირატესობა ეჭირვება? ნეტავ თვითონ როგორ მოიხსნიებს თავს ბარაკ ობამა — ამერიკის პრეზიდენტად თუ აშშ-ის პრეზიდენტად? „იქ“ ჰილარი კლინტონს ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჰქვია თუ აშშ-ისა?..

მოვიყვანოთ ორიოდე მაგალითი პრესაში „ამერიკის“ უმართებულო ხმარებისა (ეკრანზე ორიოდეს კი არა, ყოველდღე მრავალს ვხვდებით). „ის, რომ გამარჯვებულ „ოცნებაში“ უდიდესი უმრავლესობა, თუ ყველა ერთად აღებული არა, ისევე ეთაყვანება **ამერიკას,** როგორც წინა ხელისუფლება, საკამათო არ არის“ — წერს ერთ სოლიდურ გაზეთში ერთი ჭკვიანი პოლიტოლოგი, რომლის მიმოხილვებს სისტემატურად ვკითხულობ. იმავე გაზეთში ერთი კარგი პუბლიცისტი შენიშნავს რუსეთისაგან მესიჯების გარჩევისას: „არ გინდათ ჩემთან მეგობრობა? ნუ გინდათ, მაგრამ ნა-ტო, ნატოს ძახილსაც მოეშვით, ჩემს სტრატეგიულ მტერს, **ამერიკასაც** ნუ გაუღებთ კარს, ნეიტრალიტეტი გამოაცხადეთ, თორემ სანამ **ამერიკა** 9 ზღვასა და 9 მთას იქიდან მოვა, მე აგერ ვარ, როკის გვირაბს იქით და...“; რა თქმა უნდა, ორივე ავტორი „ამერიკას“ წერს და „აშშ“-ს გულისხმობს... სხვათა შორის, ჩემი მოსაზრება ამ შეცდომაზე ორივეს გავაცანი სხვადასხვა დროს, დამეთანხმნენ და დამპირდნენ „აშშ“-ზე გადასვლას, მაგრამ ან ავიწყდებათ და ან „ინერციულობა“ ვერ დაუძლევიათ...

**დასკვნის სახით: ამერიკა, ამ ცნების სწორი მნიშვნელობით, ძალიან იშვიათად დასჭირდებათ როგორც კალმოსნებს (პრესაში), ისე „ენოსნებს“ (ტელეეკრანზე); ამიტომ დავანებოთ თავი „ამერიკის“ ხმარებას და გადავიდეთ „აშშ“-ზე ან, უბრალოდ, „შტატებზე“: აშშ-ის პოლიტიკა, შტატების მთავრობა, აშშ-ის მე-7 ფლოტი, შტატების სტრატეგიული პარტნიორი და სხვა.**

**...დასაწყისში ხსენებულ დიდ პოეტს თავის ერთ პოემაში აქვს ასეთი სტრიქონი: „Ми говорим Ленин, подразумеваем Партия“... ნულა გამოგვივა ასე — ჩვენ ვამბობთ „ამერიკას“ და ვგულისხმობთ მუდამ „აშშ“-ს...**

**თამაზ კოლუმბიძე**

**შემწე თუ მტერი?**

# ქართული ბანკების მტაცებლური საქმიანობა

**რუსეთის აგრესიის შემდეგ, საქართველოში ბევრი სფერო კრიზისმა მოიცვა. მოსახლეობასა და კერძო კომპანიებს გაუჭირდათ სესხების მომსახურება. ბანკებმა ამით ისარგებლეს. მიუხედავად საპატრიარქოს თხოვნისა და პრეზიდენტის მიმართვისა, ელიტარულმა, ხელისუფლებასთან დაახლოებულმა ბანკებმა არნახული მოგება ნახეს სწორედ უბედურებაში ჩავარდნილი მოსახლეობისთვის ქონების ჩამორთმევით.**

ელიტბანკები არ ცნობენ ქონების გირაოთი უზრუნველყოფას. ისინი ცდილობენ კაბალური ხელშეკრულებები გააფორმონ ქირის ამღებებთან და გირაოს სახით ჩაადებინონ სხვა ქონებაც. ამგვარი მენეჯმენტი გალატაკებული, უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის ხარჯზე მიღებული უდიდესი შემოსავლის წყარო ხდება... თვით ბანკების მენეჯერები კი ამ შემოსავლებს მალავენ, არ ასაჯაროებენ.

როგორც საბანკო საქმის ექსპერტი დავით ლაშხია აცხადებს, ბანკების ლობირებით მოხდა უსამართლო კანონმდებლობის დამკვიდრება, რომელიც მათ საშუალებას აძლევს კანონის ფარგლებში მოსახლეობიდან ამოიღონ დამატებითი სახსრები. შედეგად მივიღეთ ის, რომ ბანკები ფლობენ დიდძალ ქონებასა და ბიზნესს (ან წილებს ბიზნესებში), რაც ექსპერტის განმარტებით, ცივილიზებულ საბანკო სისტემაში წარმოუდგენელია. ისინი ავითარებენ მხოლოდ საკუთარ ბიზნესს, ხოლო მომცრო, ნაკლები შესაძლებლობების მქონე კონკურენტებს აკოტრებენ. ყოფილა შემთხვევები, როდესაც ბანკი ბიზნესს სძალავდა თანხებს დამატებითი საკომისიოს სახით (ხელშეკრულების საფუძველზე), რაც ლაშხიას გადმოცემით, ცივილიზებული საბანკო სისტემის მქონე ქვეყნებში აუცილებლად გახდებოდა სისხლის სამართლის დევნის დაწყების საფუძველი.

ყოველივე ეს კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ ქართული საბანკო სისტემა იქცა მონოპოლიურ, მტაცებლურ სტრუქტურად. მისი მთავარი ფუნქცია გახდა არა ეკონომიკის დაფინანსება, არამედ სხვისი ქონების დატაცება-დაუფლება. უსამართლო პირსაგამტეხლოებისა და საკომისიოების მოსახლეობიდან აკრეფა, — ასკვნის ლაშხია.

საქართველოს ახალი ხელისუფლების ძირითად მიზანს წარმოადგენს ეკონომიკის ამუშავება, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება. არსებული საბანკო სისტემა კი ჩიხშივე ანადგურებს მსგავს წამოწყებას. უნდა მოხდეს საბანკო სისტემის ძირეული რეორგანიზაცია. საბანკო სისტემა ქვეყანაში დღეს ყველაზე საშიშ მონოპოლურ სტრუქტურას წარმოადგენს. საჭიროა ქმედითი ღონისძიებების გატარება, — ხელისუფლებას აფრთხილებს ჩვენთან მოსაუბრე.

**ჩვენი რესპონდენტის აზრით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დაკარგა ეკონომიკის განვითარებაზე კონტროლის ფუნქცია. ის ვეღარ მართავს სიტუაციას. მოსახლეობის მდგომარეობა კი მსხვილი ელიტური ბანკების გამდიდრების ხარჯზე სულ უფრო და უფრო უარესდება, რაც ყველაზე მთავარია, თვლის ლაშხია, ეროვნული ბანკი კმაყოფილია შექმნილი მდგომარეობით.**

ექსპერტს გადაუდებელ აუცილებლობად მიაჩნია საკანონმდებლო ცვლილებები. კერძოდ, ეროვნულ ბანკს უნდა გამოეყოს ზედამხედველობის სამსახური. ბანკებს უნდა აეკრძალოს არაპროფილური აქტივების ფლობა (უძრავი ქონება, მენაშენეობა, ბიზნესი, საავადმყოფოები და ა. შ.) ნებისმიერი, თუნდაც არაპირდაპირი ურთიერთობა ბიზნესსა და ბანკს შორის, რომელიც გარკვეულ ინტერესებზეა დაფუძნებული, ჩაითვალოს კორუფციულ გარიგებად და უმკაცრესად დაისაჯოს, აუცილებელია, აგრეთვე, ბანკების მენეჯმენტის ხელფასებისა და ბონუსების გასაჯაროება.

საბანკო საქმის პროფესიონალს საჩქაროდ გასატარებელ ღონისძიებათა ნუსხაში შეჰყავს ბანკების შემოსავლების სრული აუდიტი. განსაკუთრებითაა გასამახვილებელი ყურადღება მოსახლეობაში დარიგებულ ბარათებზე, განვადების ხელშეკრულებებზე, სხვადასხვა სახის ექსპრესსესხებზე, მათზე დარიცხულ პირსაგამტეხლოებსა და საკომისიოებზე. სასწრაფოდ შესასწავლია ქონების ჩამორთმევის შემთხვევები, როდესაც თავდების მიცემის გამო ბანკი თავდების ქონებას დაეპატრონა. ეს ის ჩამონათვალია, გვიხსნის ლაშხია, რომელთა მეშვეობითაც, ბანკებმა მოსახლეობა სიღატაკის პირას მიიყვანეს და უსახლკაროდ დატოვეს.

რესპონდენტი გადაუდებლად თვლის მოსახლეობის დაცვის მექანიზმების შექმნას საქართველოს საბანკო სისტემისაგან, საჭიროა კანონმდებლობაში მკაცრად გაიწეროს, თუ რისი ჩაწერა შეუძლია ბანკს სასესხო ხელშეკრულებაში, რათა სესხის უზრუნველყოფა სამართლიანობის ფარგლებს არ გასცდეს, როდის მოითხოვოს თავდებობა, რა სახის საკომისიოები აიღოს. რა შემთხვევებში დაარიცხოს პირსაგამტეხლო და როგორ განახორციელოს აღსრულება.

დავით ლაშხია ხელისუფლებას აფრთხილებს, რომ ბანკების მტაცებლური ქმედებების გამო, მოსახლეობაში დიდი უკმაყოფილება დაგროვილი. არ არის გამორიცხული, რომ ამოქმედდეს დაზარალებული მოსახლეობის ერთიანი სარჩელი ქართული ბანკების წინააღმდეგ. ეს თემა საშიშია და მიაჩნია, რომ ახალი ხელისუფლება ამ საკითხს მომზადებული უნდა შეხვდეს და პრევენცია გააკეთოს.

**ზაზა ბილიხოძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## თქვენი პატარა

# მე ვუცქერ სამყაროს!

**ახალშობილები სამყაროს მოზრდილებისგან დიდად განსხვავებულად აღიქვამს. მათ ჯერ კიდევ უჭირთ თვალის ფოკუსირება და ფერთა გარჩევა, ამიტომაც ყველაფერს ცალ-ცალკე თვალით აღიქვამენ. შედარებით მკაფიოდ თოთო ბავშვს მხოლოდ 20-30 სანტიმეტრით დაშორებული საგნების გარჩევა შეუძლია.**

ერთი თვის ჩვილს უკვე შეუძლია დედის სახეზე მზერის კონცენტრირება, როცა ის ძუძუს აჭმევს, ასევე ახერხებს ჟღარუნის თვალის მიდევნებას. მას უკვე შეიძლება ხასხასა ფერებად შეღებილი სათამაშოები აჩვენოთ მათი ნელ-ნელა ჰორიზონტულად ან ვერტიკალურად გადაადგილებით.



**ორი თვის ჩვილი უკვე ცნობს დედას, სათამაშოებსაც უფრო ყურადღებით აკვირდება.** ბოლოს კი თქვენ შეამჩნევთ, რომ იგი ყურადღებით ათვალიერებს ოთახს, მისი მზერაც უფრო საზრიანი ხდება. ეცადეთ ბავშვი უფრო ხშირად ვერტიკალურ მდგომარეობაში გყავდეთ – ასე მას გაცილებით უადვილდება გარემოზე დაკვირვება, სამყაროსაც უკეთ ეცნობა, უფრო სწრაფად ვითარდება.

სამი თვის ასაკში ბავშვი უკვე ყველა ფერს არჩევს, მისთვის საუცხოო გასართობი შეიძლება ლოგინის თავზე დაკიდებული მუსიკალური კარუსელი გახდეს: ბავშვი გულმოდგინედ დააკვირდება მოძრავ სათამაშოებს.

სამწუხარო ფაქტია, რომ **წლიდან წლამდე მატულობს ბავშვთა რიცხვი, ვისაც მხედველობასთან დაკავშირებით პრობლემები აქვს.** საკმაოდ ხშირად საქმე გვაქვს ახლო ან შორსმხედველობასთან, თვალისჩინს ხშირად სიმკვეთრე აკლია, პატარები სიელმესა და ამბლიოპიას უჩივიან. ამიტომაცაა, რომ სპეციალისტები დიდ მნიშვნელობას თვალის დაავადებათა ადრეულ დიაგნოსტიკას ანიჭებენ.

**თუკი ქალს მძიმე მშობიარობა ჰქონდა, ეს გარემოება შეიძლება ბავშვის თავის ქალის შიდა წნევის მომატების მიზეზი გახდეს.** ასეთი პატარები მეტად მოუსვენრები, ნერვიულები არიან. ამ შემთხვევაში ნევროპათოლოგის კონსულტაციის გარდა დიდი სიკეთის მოტანა შეუძლია ოკულისტთან ვიზიტს. თვალის ფსკერის გასინჯვა თავის ტვინის მდგომარეობის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა. **თუ ბავშვს ერთი ან ორივე თვალი აეცრემლება, აუცილებლად მიიყვანეთ ოკულისტთან.** ეს ამბავი შეიძლება დაკავშირებული იყოს კონიუნქტივიტთან და საცრემლე-საცხვირე არხის გახსნის შეფერხებით იყოს გამოწვეული (ამას ახალშობილთა დაკრიოცისტიტი ეწოდება). დედის მუცელში განვითარების პერიოდში ეს არხი აპკითაა გადახურული. დაბადების დროს აპკი ახალშობილის პირველი ამოსუნთქვისას იხევა, თუმცა კი ზოგჯერ ეს ასე არ ხდება და საცრემლე ტომრის ანთებას იწვევს.

საცრემლე-საცხვირე არხის გახსნის შეფერხებისას ექიმები თავდაპირველად მასაჟის გაკეთებას გვირჩევენ, რომლის გაკეთებას სპეციალისტი ახალბედა დედას ასწავლის, შემდგომ კი საცრემლე არხებს გამორეცხავენ. თუკი ამ პროცედურების შემდეგ არხის გამტარუნარიანობა არ აღდგება, საჭირო გახდება ქირურგიული ჩარევა, რასაც საცრემლე არხების ზონდირება ეწოდება. **რაც უფრო ადრე დადგინდება დაკრიოცისტიტი, მით უფრო ადვილი იქნება მასთან გამკლავება.** ამიტომ, ოფთალმოლოგთან პირველი ვიზიტით მისვლა ჯერ კიდევ ერთი წლის გახდომამდეა რეკომენდებული. ამ გზით შესაძლებელია ისეთ სერიოზულ დაავადებათა დადგენა, როგორიცაა გლაუკომა, კატარაქტა, ნისტაგმი, თანდაყოლილი სიელმე.

**ახალშობილს თავისით არ შეუძლია იმის დაჩივლება, რომ ცუდად ხედავს, ამიტომ უფრო მეტად იმას მიაქციეთ ყურადღება, თუ როგორ იცქირება იგი.** თუკი პატარა ვიდრე სათამაშოს აიღებდეს, თვალებს ნელა ახამხამებს, თუ ცალ თვალს ბოლომდე არ ახელს და ა.შ. მაშინვე ოკულისტს უნდა მიმართოთ.

**ნინო ალექსანდრია**

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77; 599 32-85-76.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### გუშინდელი გაზეთებიდან



### „ძალოვანი მინისტრები პოლიტიკური განცხადებების გაკეთებას შეეშვან“

– ამბობს საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ზვიად ძიძიგური, საქმე ისაა, რომ როდესაც არის ამხელა გამადიდებელი შუშა მთელი მსოფლიოს მხრიდან, როდესაც ჩასაფრებული ოპოზიცია გვყავს, რომელიც ცდილობს, როგორმე შენი რაღაცა ფრაზა დაიჭიროს და შემდეგ ეს ფრაზა წინ დაგახვედრონ, ძალიან მოზომილნი უნდა იყოს ყველა და განსაკუთრებით იუსტიციის მინისტრი, მთავარი პროკურორი, შინაგან საქმეთა მინისტრი და სასჯელაღსრულების მინისტრი. ეს არის ის ხალხი, რომელთაც აბარიათ სახელმწიფო ძალოვანი მიმართულებები, სამართლიანობის და სამართლის დადგენის პროცესები და ამიტომ არ შეიძლება მათ სიმპათია-ანტიპატიები დააფიქსირონ ამა თუ იმ განცხადებისადმი.

**„ახალი თაობა“**

### გეწაძე წულუკიანთან შეხვედრას ითხოვს

ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი კახა გეწაძე იუსტიციის მინისტრთან შეხვედრას ითხოვს, რათა უთხრას, თუ რა მოხდა სინამდვილეში 2 წლის წინათ ზესტაფონში. „ხელისუფლების ადგილზე რომ ვყოფილიყავი, ზუსტად იმიტომ არ დავაპატიმრებდი იმ ადამიანს, ვისზედაც 2 წლის წინათ ხელისუფოებამ შექმნა რაღაც შეთითხნილი საქმე. მინდა, რომ იუსტიციის მინისტრმა პირადად ჩემგან მოისმინოს სიმართლე და მეგობრულ სიტუაციაში დაველაპარაკო“.

**„რეზონანსი“**

### სკანდალური ინტერვიუ, რის გამოც გივი თარგამაძეს დაიჭერენ!

„დარწმუნებული ვარ, მორალი თეა წულუკიანს აქვს. კი ლაპარაკობს „ბლატნოი“ სიტყვებით, მაგრამ, საბოლოოდ, მისი მიზანი ევრომოსამართლეობაა და ბოდიში, მაგრამ ამ ქაქით იქამდე ნამდვილად ვერ მივა, ამიტომ იქ ისეთი ადამიანი დანიშნეს, ანუ ნაცვლიშვილი, ვინც ყოველგვარი ქაქით მივა სადაც გინდა. ეს კაცი წაიღეს, დადეს იქ და დამარცვლით მოგვიყვნენ, რატომ ჩააბარეს ყველაფერი – მაგას აწი არც წარსული აქვს და არც მომავალი. ნაცვლიშვილი ეს არის აწმყო, ყოველთვის – ეს არის აწმყო, რომელშიც „იჩხირავს“, რომელიც „რუსების კაცია“...

**„ვერსია“**

## ინფორმაცია

### ქრთამის აღების ფაქტზე „რუსთავის კორპუსის“ დირექტორის მოადგილე დააკავეს

**ქრთამის აღების ფაქტზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა დააკავეს რუსთავის საკრებულოს მიერ დაფუძნებული, არაკომერციული იურიდიული პირის „რუსთავის კორპუსის“ დირექტორის მოადგილე ავთანდილ ჟორჟოლიანი.**

გამოძიებით დადგინდა, რომ ა. ჟორჟოლიანი, სახელმწიფო თანხის უკანონოდ მითვისების მიზნით, დანაშაულებრივად გაურიგდა ერთ-ერთი შპს-ს ხელმძღვანელ პირებს. ამ შპს-მ ქალაქ რუსთავში საცხოვრებელ კორპუსს ჩაუტარა 9 745 ლარის ღირებულების სარემონტო სამუშაოები. აღნიშნული თანხა, შპს-ს „რუსთავის კორპუსისგან“ გადაერიცხა. რის შემდეგაც, ა. ჟორჟოლიანმა, სამუშაოების მიღებაში დახმარების სანაცვლოდ, შპს-ს ხელმძღვანელისგან ქრთამის სახით აიღო 1000 ლარი.

მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6 დან 9 წლამდე ვადით.

**ინტერპრესნიუსი**

## ანეკდოტები

**გახარებული** ქმარი ხმაურით შემოვარდა სახლში და ცოლს უყვირის:

– ქალო, შეაგროვე ნივთები! ლატარიაში მილიონი დოლარი მოვიგე!

– უი, რა კარგია! რომელი ნივთები მოვაგროვო? სამხრეთისათვის საჭირო?

– ყველა შეაგროვე და მომწყდი თავიდან!

* * *

**საკმარისია,** მამაკაცმა მხოლოდ მოისურვოს და ნებისმიერი ქალი მის ფერხთით განერთხმევა. მთავარია, ზუსტად ყბაში მოარტყას.

* * *

**მამაკაცები** ოჯახურ ცხოვრებაში ქალებზე უფრო ბედნიერები არიან. ისინი გვიან ქორწინდებიან და ადრე კვდებიან.



– **საყვარელო,** – ეუბნება კაცი ქალს, – ისეთები, როგორიც შენა ხარ, არ ყოფილან, არც არიან და არც არიან საჭირო.

* * *

**ორი** დაქალი საუბრობს:

– აბა, რას შვრება შენი საქმრო?

– წარმოგიდგენია, გუშინ კვლავ არაფრის გამო ვიჩხუბეთ.

– მაინც?

– მე მინდა, რომ ქორწილში ფატა მეხუროს, მას კი საერთოდ არ სურს დაქორწინება!

* * *

– **მივდივარ** ქუჩაში, – უყვება დაშა დაქალს. – უცებ ქუჩაში მანქანა ჩერდება, კარი იღება და ტიპი მეპატიჟება, ქალაქში გავისეირნოთო! წარმოგიდგენია, როგორი თავხედი ყოფილა?

– რატომ თავხედი?

– შენ რომ მისი ბინა გენახა, ამას არ მკითხავდი!

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ზურაბ ბოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com